ყოველდღიური გაზეთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედ: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—88—17, სამდივნოს—19—58, მთ. კანტორის—8—81.

ორშაბათი, 24 ოქტომბერი 1932 წ. № 248 (3502)

საშემოდგომო თესვა 15 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს

საშემოდგომო თესვასთან დაკავშირებით საქართველოს პარტორგანიზაციების წინაშე განსაკუთრებული ამოცანებია დასახული; ეს ამოცანებია: ძველი პარტხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ „მემარცხენო“ შეცდომების გადაჭრით გამოსწორების საფუძველზე კოლმეურნეობათა ორგანიზაციული, სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება, სათესი ფართობების სწორი დაგეგმვა, აგროტექნიკური ღონისძიებათა წესიერი გატარება და ყველა ამის საფუძველზე **ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭრით გაუმჯობესება.**

ჩვენ გვაქვს ყველა საშუალებანი გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები და ავსწიოთ მოსავლიანობა როგორც ტექნიკურ, ისე მარცვლეული კულტურების ხაზით. გასულ წელთან შედარებით მტკიცე გეგმიანობაა შეტანილი სოფლის მეურნეობის წარმოებაში, გაიზარდა სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური შეიარაღება, მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ კოლმეურნეები, გაფართოვდა, **საბჭოთა მეურნეობების ქსელი** და მიღებულ იქნა გადამჭრელი **ზომები** ინდივიდუალური სექტორის შეუფასებლობის აღმოსაფხვრელად; ყოველივე ეს ჩვენ გვაძლევს საშუალებას უზრუნველვყოთ თესვის გეგმების ვადაზე შესრულება.

გასულ წელთან შედარებით საშემოდგომო თესვის საქმეში წელს მნიშვნელოვან წარმატებებს ვხედავთ. წელს თესვა 1931 წელთან შედარებით ადრე დაიწყო და უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ასე მაგ.: გასულ წელს თუ 20 ოქტომბრისათვის საშემოდგომო კულტურები დათესილი იყო 15.660 ჰექტარზე; (შესრულებული იყო გეგმის 4,8 პროცენტი), წელს ამავე 20 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 98.492 ჰექტარი, (გეგმის 36,2 პროცენტი), ანუ 82.839 ჰექტარით მეტი, ვიდრე გასულ წელს;

მიუხედავად ამისა ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ საშემოდგომო თესვის მიმდინარეობის ტემპებით, ვინაიდან ეს ტემპები არ უზრუნველყოფენ თესვის გეგმების ვადაზე და მთლიანად შესრულებას. საყურადღებოა, რომ, **თესვა მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კახეთის რაიონებში,** რომლებიც საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ძირითად რაიონებს წარმოადგენენ. ასე მაგალითად, თესვის გეგმები შესრულებული აქვს **ლაგოდეხის რაიონს** 4,4 პროცენტით, **გურჯაანის რაიონს** 2.8 პროცენტით და **ყვარელის რაიონს** 1,4 პროცენტით. უკანასკნელ ხუთი დღის განმავლობაში საგრძნობლად **შენელდა თესვის ტემპები მცხეთის, გარე-კახეთის, გორის და ერწო-თიანეთის რაიონებში.**

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული სათესლე ფონდების შეგროვების დავალება (საშემოდგომო თესლეულის შეგროვების გეგმა შესრულებულია 46.2 პროცენტით, ხოლო საგაზაფხულო 12 პროცენტით), უნდა დავასკვნათ რომ თესვა მიმდინარეობს აშკარა არადამაკმაყოფილებლად და მას ზოგიერთ რაიონებში ჩაშლა მოელის.

ეს ჩამორჩენა უნდა აიხსნას იმით, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიული ორგანიზაციები (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში) არ უწევენ საკმაო კონკრეტულ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას, **მინდვრის სამუშაოებს,** აქა-იქ დღემდე არ არის დამთავრებული საკოლმეურნეო ბრიგადების გამოყოფა, ზოგან ბრიგადები ფორმალურადაა გამოყოფილი. სოფ. ქსოვრისში (დუშეთის რაიონი), ვაქირში, ნუკრიანში (სიღნაღის რაიონი), და ახმეტაში (თელავის რაიონი), კოლმეურნეთა გამგეობებს არ დაუმთავრებიათ საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობა. არ გამოუყვიათ მათთვის განსაზღვრული ნაკვეთები და არ მიუმაგრებიათ ბრიგადებისათვის სას. სამ. ინვენტარი და მუშა - საქონელი. მთელ რიგ რაიონებში შემჩნეულია, ცოცხალი გამწევი ძალის შეუფასებლობა. ასე მაგ. სოფ. ქვემო-ბოდბის კოლმეურნეობა ტრაქტორების მოლოდინში არ აწარმოებდა ხვნა-თესვას მაშინ, როდესაც მას აქვს სრული შესაძლებლობა ხვნა-თესვის დავალებები შეასრულოს მის განკარგულებაში მყოფ მუშა - საქონლით.

რაც შეეხება სათესლე ფონდების შეგროვებას აქ ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობასა და დაუდევრობასთან. გარე-კახეთის და სიღნაღის რაიონები, რომელთაც აქვთ სრული შესაძლებლობა სათესლე მასალით მეზობელ რაიონებსაც გაუწიონ დახმარება — ცენტრიდან მოითხოვენ თესლით დახმარებას. სიღნაღის რაიონში იყო შემთხვევა, როდესაც კოლმეურნეობათა გამგეობები (ქვემო-ბოდბე, ნუკრიანი, ულიანოვკა), მალავდნენ სათესლე მასალას და თესლეულის ცენტრიდან მიწოდების მოლოდინში არ იწყებდნენ თესვას.

კიდევ უფრო ჩამორჩენილია მძრალად ხვნა. ნაცვლად 90.688 ჰექტარისა 20 ოქტომბრისათვის მძრალად ხვნა ჩატარებული იყო 21.617 ჰექტარზე — შესრულებული იყო გეგმის 23,8 პროცენტი. **20 ოქტომბრისათვის მძრალად ხვნა დაწყებული არ ჰქონდათ სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ყვარელის, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის, წალკის, დუშეთის, ალბულაღ-მანგლისის და გარე-კახეთის რაიონებს.** ეს მდგომარეობა მოწმობს, რომ ზემოხსენებული რაიონები ვერ აფასებენ მძრალად ხვნის უდიდეს მნიშვნელობას მოსავლიანობის გადიდებისათვის, თავს ვერ აღწევენ სხვადასხვა სამუშაოთა მორიგეობით წარმოების ოპორტუნისტულ პრაქტიკას და არასერიოზულად ეკიდებიან პარტიის და ხელისუფლების სადირექტივო ორგანოების საბრძოლო დავალებათა ვადაზე შესრულებას; მოსავლიანობის გადიდების დარგში. თესვასთან ერთად მძრალად ხვნის გეგმის შესრულებაც სავსებით შესაძლებელია; ამას ნათლად ამტკიცებს **სტალინისის და ახალციხის** რაიონების მაგალითი (პირველმა მძრალად ხვნის გეგმა შეასრულა 75,2 პროცენტით, მეორემ 65,5 პროცენტით).

ჯერ კიდევ არის დრო საშემოდგომო თესვის დარგში არსებულ ჩამორჩენების გამოსასწორებლად. ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა სოფლის პარტიული ორგანიზაციების და პირველ რიგში საკოლმეურნეო უჯრედების მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა მინდვრად, ბრიგადაში, საჭიროა მთელი ძალების გადასროლა უშუალოდ მინდვრის სამუშაოებზე. კოლმეურნეობათა გამგეობებმა საქმე უნდა დააყენონ ისე, რომ **თითეულ ბრიგადას, თითეულ ტრაქტორს და გუთანს ეძლეოდეს ყოველდღიური საწარმოო დავალება** — და ეს დავალება ყოველდღიურად სრულდებოდეს. ამის მიღწევა კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ სწორად მოვაწყობთ საკოლმეურნეო ბრიგადას, ნამდვილად დავნერგავთ სანარდო სისტემას და თითეულ კოლმეურნეს დავაინტერესებთ ბრიგადის მუშაობის საერთო შედეგებით.

სათესლე ფონდების შეგროვება არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყდეს. მოსავლისა და შემოსავლის განაწილება, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, უნდა გამოვიყენოთ საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურათა სათესლე ფონდების მთლიანად შეგროვებისათვის. დაუზოგავად უნდა დავარტყათ მტაცებლობისა და სათესლე ფონდების გამოყოფის ჩაშლის კულაკურ ტენდენციებს, რომელთაც ადგილი აქვს ზოგიერთ რაიონების კოლმეურნეობებში (დუშეთი, გარე-კახეთი, თელავი).

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **აგროტექნიკურ** ღონისძიებათა თანამიმდევრობით გატარებას. პირველ რიგში უნდა გავაუმჯობესოთ ნიადაგის დამუშავების ხარისხი, მთლიანად გავსწმინდოთ სათესლე მასალა, გავავრცელოთ ჯიშიანი თესლი, ჩავატაროთ მწკრივად თესვა, დროზე შევიტანოთ სასუქი, გავაძლიეროთ მინდვრის მავნებლებთან გეგმიანი ბრძოლა და რაც მთავარია — **დავამთავროთ თესვა იმ ვადებში, რომელიც ცალკე რაიონებისათვის არის დაწესებული.**

თესვის საქმეში ღარიბ და საშუალო გლეხებისათვის ყოველმხრივ დახმარების გაწევასთან ერთად მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ კულაკურ და შეძლებულ მეურნეებმა შეასრულონ ხვნა - თესვის მტკიცე დავალებანი. სოფლის საბჭოებმა უნდა მიიღონ მკვეთრი ზომები იმ კულაკურ მეურნეობათა წინააღმდეგ; რომელნიც განზრახ აჭიანურებენ თესვის დავალებათა შესრულებას.

უკანასკნელ ხუთდღიურში თესვის ტემპები შესამჩნევლად გაძლიერდა. მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები, რათა ეს ტემპები. შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო გავაძლიეროთ. იმისათვის, რომ საშემოდგომო თესვის რესპუბლიკანური გეგმა დროზე შესრულდეს, 15 ნოემბრამდე ყოველ ხუთდღეში უნდა დაითესოს არა ნაკლები 27.000 ჰექტარისა. ეს რომ სავსებით შესაძლებელია — ნათელყო უკანასკნელი ხუთდღიურების შედეგებმა. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა თესვის დარგში აწევთ კახეთის რაიონებს, უპირველესად ყოვლისა სიღნაღის რაიონს, რომელსაც ყველაზე მეტი დავალება აქვს მიცემული.

საშემოდგომო თესვა 15 ნოემბრამდე უნდა დასრულდეს. ესაა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა.

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

მარგანეცი

ჭიათურა, 25 ოქტომბერი (საქ. კორ.). 23 ოქტომბერს ჭიათურიდან გაიგზავნა 1817 ტონა მარგანეცია, აქედან, საზღვარგარეთ გაგზავნილია 1134 ტონა, ხოლო დანარჩენი — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში. მოთხოვნილი ვაგონები მიღებულია მთლიანად.

ცემენტი

კასპი, 25 ოქტომბერი (საქ. კორ.). კასპის ცემენტის ქარხანაში 22 ოქტომბერს გამოიწვა 2850 კასრი ცემენტი, რაც უდრის გეგმის 108,5 პროცენტს. დაიფქვა [illegible] კასრი, ანუ გეგმის 20,4 პროც., გაიგზავნა 225 კასრი, რაც შეადგენს გეგმის 8 პროც. გაგზავნის გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ვაგონების საკმაო რაოდენობის მოუწოდებლობით.

გერმანიის რეიხსტაგის არჩევნების წინ

ბურჟუაზიისა და სოციალ-ფაშისტების ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ კომპარტია რაზმავს მშრომელთა მილიონებს

თავისუფლების წითელი დროშით წინ სოციალიზმისაკენ!

გერმანიის კომპარტიის ცეკას საარჩევნო მოწოდება

ბერლინი, 24 ოქტომბერი. „როტე ფანე“ აქვეყნებს გერმანიის კომპარტიის ცეკას საარჩევნო მოწოდებას, შემდეგი სათაურით: „თავისუფლების წითელი დროშით, წინ, სოციალიზმისაკენ“!

„7 ნოემბერს,—ნათქვამია მოწოდებაში,—მსოფლიო პროლეტარიატი საბჭოთა კავშირის 160 მილიონ მუშასა და გლეხებთან ერთად დღესასწაულობს რუსეთის ძლევამოსილი რევოლუციის 15 წლის თავს. მშრომელ გლეხობასთან შეკავშირებულ მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების დაპყრობას შედეგად მოჰყვა მასების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. კაპიტალისტურ გერმანიაში დღითი-დღე მწვავდება ეკონომიური კრიზისი. ეცემა წარმოება, უმუშევართა რიცხვი, რომლებსაც არა აქვთ არც სამუშაო და არც პური, 9 მილიონ კაცს აღწევს, მარტო 1931 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობის 20 ათას შემთხვევას. გერმანიაში გზები და გზატკეცილები ავსებულია უსახლკარო და ღატაკთა არმიებით. მშრომელებს სეტყვასავით აყრიან საგანგებო დეკრეტებს ხელფასის შემცირების და უმუშევრებისა და ინვალიდებისათვის დახმარების შეკვეცის შესახებ. საბაჟო ტარიფებს შედეგად მოჰყვა საკვები პროდუქტების გაძვირება. იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა, საგრძნობლად კლებულობს დაბადება განუწყვეტლივ სწარმოებს მოსამსახურეთა და [illegible] და მოხელეთა ფართო მასების საშუალო ფენების და წვრილი გლეხობის გაღატაკება —ყოველივე ეს წარმოადგენს კაპიტალისტების კატასტროფიული პოლიტიკის შედეგს. გაბატონებული კლასებს არასოდეს არ უგრძვნიათ მშრომელთა მასების ისეთი სიძულვილი, როგორსაც გრძნობენ ეხლანდელი გაბატონებული კლასები. საგანგებო და ჩვეულებრივი სასამართლოების განაჩენით საპატიმროში მოთავსებულია 9.000-ზე მეტი ანტიფაშისტი. გაზეთების აკრძალვა, სტამბების კონფისკაცია, კრებების და დემონსტრაციების აკრძალვა, გაფიცვების ჩაქრობა, ნაციონალ - სოციალისტების ტერორი, რამდენიმე მილიონი მუშა ახალგაზრდობისათვის საარჩევნო უფლებების წართმევის მუქარა, საარჩევნო უფლებების საერთო გაუარესება — ყველაფერი ეს ნათლად გვიჩვენებს პროლეტარიატის წინააღმდეგ კაპიტალისტური შემოტევის გამწვავებას. საგანგებო დეკრეტით გათვალისწინებულ ხელფასის შემცირების წინააღმდეგ საგაფიცვო ბრძოლების გაშლით მუშათა კლასმა გაბედული შეტევა დაიწყო კაპიტალის დიქტატურის წინააღმდეგ. რეფორმისტული პროფკავშირების სამარცხვინო შტრეიკბრეხერობის მიუხედავად, გაფიცვათა ნახევარზე მეტი გამარჯვებით დამთავრდა“.

შემდეგ მოწოდება ააშკარავებს სოციალ-დემოკრატების, ნაციონალ-სოციალისტების და კათოლიკური პროფკავშირების მოღალატურ დემაგოგიას და საარჩევნო ფრაზეოლოგიას და მოუწოდებს ყველა მშრომელებს შექმნან ერთიანი ფრონტი კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ჩვენ, კომუნისტებს,—ნათქვამია მოწოდებაში,—გვინდა ისეთი გერმანია, სადაც გაბატონებული იქნებიან მხოლოდ მუშები და გლეხები. მხოლოდ სოციალისტურ გერმანიას შეუძლია კვლავ აამუშაოს ფაბრიკები, მაღაროები და კონტორები და მოსპოს შრომის ბირჟები. სოციალისტური გერმანია გააუქმებს ვერსალში დადებულ სამარცხვინო ხელშეკრულებას. მხოლოდ მომავალი სოციალისტური გერმანია მისცემს საშუალებას ავსტრიას, ელზას-ლოტრინგს, სამხრეთ ტიროლს, და სხვ. დამონებულ, გერმანულ მოსახლეობას ნებაყოფლობით შეუერთდეს გერმანიას“ (ადს).

—:—

ბურჟუაზიის მთლიანი ბლოკი ფაშისტებიდან სოციალ-ფაშისტებამდე

ბერლინი, 24 ოქტომბერი. ნაციონალ-სოციალისტების საარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ნაციონალ - სოციალიზმის იდეოლოგმა შტრასერმა. მისი სიტყვა შეიცავდა ნაციონალ - სოციალისტების ეკონომიურ პროგრამას. „შტრასერმა მხარი დაუჭირა აგრარულ პროტექციონიზმს და განაცხადა: „ნაციონალ-სოციალისტებს პირველ ყოვლისა, საჭიროდ მიაჩნია გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და განამტკიცონ შინაური ბაზარი“. შტრასერმა აღნიშნა, რომ „ნაციონალ-სოციალისტები სავსებით და მთლიანად უჭერენ მხარს კერძო საკუთრებას და კერძო ინიციატივას“.

შტრასერის სიტყვის პოლიტიკური ნაწილი შეიცავს ნაციონალისტების პარტიასა და რეფორმისტულ პროფკავშირებთან შეთანხმების აშკარა წინადადებას. შტრასერმა განაცხადა, რომ ნაციონალ-სოციალისტები მზად არიან კავშირი შეკრან ყველასთან, ვისაც კი სურს იხსნას გერმანია. შტრასერის სიტყვა აშკარად მოწმობს, რომ იზრდება ტენდენცია შექმნან ბურჟუაზიის მთლიანი ბლოკი ნაციონალ-სოციალისტებიდან სოციალ-დემოკრატებამდე.

არსებითად, პარტიის ლიდერების ძირითადი საპროგრამო გამოსვლები უკანასკნელ დღეებში, მოწმობენ, რომ ადგილი აქვს ფართო მისწრაფებას შეურიგდენ პაპენის ძირითად კურსს, თუ მოხდება ზოგიერთი ცვლილება მთავრობის პერსონალურ შემადგენლობაში და ტაქტიკაში. ამგვარად, ძალთა იმ გადაჯგუფების დედა აზრი, რომელიც ხდება ბურჟუაზიულ ბანაკში არჩევნების შემდეგ, მშრომელებზე მოსალოდნელ ახალ შეტევასთან დაკავშირებით, მდგომარეობს აშკარა მისწრაფებაში—მიღწეულ იქნას, ბურჟუაზიული ბანაკის შიგნით არსებულ წინადადებათა მიუხედავად, ყველა ბურჟუაზიული პარტიების შემჭიდროებული ფრონტი (ადს).

საარჩევნო კომუნისტური კრებები გერმანიაში

ბერლინი, 24 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიამ მოიწვია მთელი რიგი მრავალრიცხოვანი საარჩევნო კრებები. ბრემენში გამართულ კრებაზე, რომელსაც 5.000 მუშა დაესწრო, გამოვიდა ამხ. პიკი. ხემნიცში ორ მიტინგზე გამოვიდა ამხ. რემელე. ბერლინში საარჩევნო კრებაზე გამოსვლის შემდეგ დააპატიმრეს „როტე ფანე“-ს რედაქტორი ამხ. გეიმანი. (ადს).

კომპარტიის კანდიდატთა სია რეიხსტაგის არჩევნებში

ბერლინი, 24 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის კანდიდატთა საერთო სიის თავში დასახელებული არიან ამხ. ტელმანი, პიკი, შერი, ულბრიხტი, ფლორინი, რემელე, მეკერტი, დალემი და შულტცე. კომუნისტთა კანდიდატების დიდ უმრავლესობას შეადგენენ მუშები.

ბევრი ადგილიდან მოდის ცნობები სოციალ-დემოკრატი და ნაციონალ - სოციალისტ მუშების კომპარტიაში გადასვლის შესახებ (ადს).

გერმანიის ყოფ. მინისტრი რეიხსტაგის მომავალი არჩევნების შესახებ

ბერლინი, 24 ოქტომბერი. „ნეიე ფრეიე პრესე“ ათავსებს გერმანიის ყოფ. მინისტრის კარდორფის წერილს გერმანიის რეიხსტაგის არჩევნების პერსპექტივებზე. კარდორფის აზრით ნაციონალ-სოციალისტები დაკარგავენ 40 მანდატს, კომპარტია კი ნაციონალ-სოციალისტების ხარჯზე მიიღებს 20 ახალ მანდატს (ადს).

გორა და მუსოლინი მხარს უჭერენ გერმანიას შეიარაღების თანასწორუფლებიანობაში

მუსოლინის პოლიტიკური სიტყვა

რომი, 24 ოქტომბერი. მუსოლინიმ, რომელიც, იტალიის ფაშიზმის 10 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, ჩავიდა ტურინში, წარმოსთქვა დიდი პოლიტიკური სიტყვა. მუსოლინი შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხებს და დაადასტურა თავისი თვალსაზრისი სამხედრო ვალების გაუქმების საჭიროების შესახებ. მან განაცხადა, რომ იტალია დარჩება ერთა ლიგაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგა ხშირად [illegible], კერძოდ, როცა საქმე ეხება შორეულ აღმოსავლეთის და სამხრეთ ამერიკას. შეეხო რა გერმანიის მოთხოვნებს შეიარაღებაში თანასწორუფლებიანობის შესახებ, მუსოლინიმ განაცხადა, რომ ეს მოთხოვნა მას, სამართლიანად მიაჩნია, მაგრამ სანამ გრძელდება განიარაღების კონფერენცია, მისი აზრით, გერმანიას არ შეუძლია მოითხოვს თავისი შეიარაღების აღდგენა. მან გამოთქვა იმედი, რომ შესაძლებელია დასავლეთ ევროპის 4 დიდი სახელმწიფოს თანამშრომლობა იმ პირობით, თუ დაცული იქნება იტალიის ინტერესები (ადს).

სენატორი ბორა მხარს უჭერს გერმანიის მოთხოვნას შეიარაღებაში თანასწორუფლებიანობის დამყარების შესახებ

ბერლინი, 24 ოქტომბერი. „კელნიშე ცეიტუნგ“-ი ათავსებს ამერიკელ სენატორ ბორას წერილს განიარაღების კონფერენციის საკითხების შესახებ. ბორა კატეგორიული ფორმით მხარს უჭერს გერმანიის მოთხოვნებს შეიარაღებაში თანასწორუფლებიანობის დამყარების შესახებ.

ბორა ეხება აგრეთვე ჩრდ. ამერიკის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და აცხადებს, რომ არც ვალების საკითხი არც საბჭოთა სისტემის „თავისებურება“ არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის (ადს).

ბელგიის ახალი კაბინეტი

პარიზი, 24 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტოს გადაცემით ბელგიის ახალ კაბინეტში შევიდნენ კათოლიკური პარტიის სამი წევრი, ხუთი ლიბერალი, სამი ქრისტიანული დემოკრატი, ერთიც მემარჯვენე ფლამანდელი ნაციონალისტი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ბროკვილი, საგარეო საქმეთა მინისტრად — ჰიმანსი (ადს).

ინგლისის მუშები ოქტომბრის ზეიმზე

ლონდონი, 24 ოქტომბერი. მთელს ინგლისში გაიშალა მასიური კამპანია მუშათა დელეგაციის გასაგზავნად საბჭოთა კავშირში ოქტომბრის ზეიმზე დასწრების მიზნით. უკვე არჩეულია დელეგატები მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში. უახლოეს დღეებში შესდგება მუშათა კონფერენციები დელეგატების ასარჩევად გლაზგოში, გრინოკში, ლონდონის სამხრეთ - დასავლეთის რაიონში, სამხრეთ უელსში, შეფილდსა და ბირმინგამში. მოსალოდნელია, რომ მიმდინარე წელს დელეგაციაში შევლენ ინგლისის ყველა მსხვილი სამრეწველო ცენტრების წარმომადგენელი მუშები (ადს).

შუგლმაგრების კარნახით

რუმინეთის პრესა რუმინეთის მთავრობის შეცვლის შესახებ

ვენა, 24 ოქტომბერი. რუმინეთის მთელი პრესა რუმინეთის მთავრობის შეცვლას აფასებს იმ თვალსაზრისით, თუ რა ბედი ეწვევა რუმინეთ-საბჭოთა თავდაუსხმელობის პაქტს. „დიმინეაცა“ აღნიშნავს, რომ ტიტულესკუს შეხედულებით, რუმინეთის ინტერესები მოითხოვენ უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი. „ლუპტა“ ტიტულესკუს გამოსვლას საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების წინააღმდეგ ხსნის ინგლისის დიპლომატიის კომბინაციებით (ადს).

საბჭოთა კავშირის და თურქეთის ფეხბურთელთა შეჯიბრება

ანკარა. 24 ოქტომბერი. ანატოლიის სააგენტო იუწყება: „საბჭოთა კავშირის და თურქეთის ფეხბურთელთა შეჯიბრება, რომელიც სტამბოლში მოეწყო, გადაიქცა საბაბად საბჭოთა კავშირის და თურქეთის გულითადი მეგობრობის გამოაშკარავებისათვის. შეჯიბრებას დაესწრენ პრემიერ მინისტრი ისმეტ-ფაშა, სტამბოლის პრეფექტი, საბჭოთა გენერალური კონსული, საბჭოთა - კოლონია, აგრეთვე მრავალი ათასი მაყურებელი. ისმეტ-ფაშამ მიიღო ფეხბურთელთა ორივე გუნდი და უსურვა მათ წარმატება თამაშში. თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:2. თამაშის შემდეგ პრემიერ მინისტრმა ისმეტ-ფაშამ მოულოცა ორივე გუნდს საუცხოო თამაში. ხვალ გაიმართება მეორე შეჯიბრება“ (ადს).

საბჭოთა კავშირში

ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურების გადიდება

(საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება)

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. ტრაქტორისტების და კომბაინერების შრომის ნაყოფიერების გადიდების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა — 1932 წლის პირველ ნოემბრიდან საშუალოდ 45 პროცენტით გაუდიდდეს ტრაქტორისტებს კოლხელშეკრულებით გათვალისწინებული განაკვეთი მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების, სახალხო კომისარიატის და მომარაგების სახალხო კომისარიატის, საბჭოთა მეურნეობებში. ხელფასის ოდენობა წესდება ტრაქტორისტების კვალიფიკაციის, ტრაქტორის სიმძლავრის, ერთ და იმავე საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორისტის მუშაობის ხანგრძლივობის, გამომუშავების, ნორმების და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების მიხედვით. ამავე რიცხვიდან საშუალოდ 25 პროცენტით უდიდდება განაკვეთი ცენტრალური კარ-მიდამოების და განყოფილებების სახელოსნოთა რემონტის მუშებს. იმ ტრაქტორისტების, კომბაინერების, ბრიგადირების და რემონტის მუშების განაკვეთი, რომლებიც დროის მიხედვით იღებენ ხელფასს, 30 პროცენტით ნაკლებია ნარდათ მომუშავეთა განაკვეთთან შედარებით. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის განმავლობაში ყველა საბჭოთა მეურნეობებში უნდა ჩატარდეს ტრაქტორისტების შემოწმება მათი კვალიფიკაციის განსაზღვრის მიზნით და 1933 წლის 1 იანვრიდან უნდა შემოღებულ იქნას ერთიანი წიგნაკი, რომელიც იძლევა ტრაქტორზე მუშაობის უფლებას. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული იმ ტრაქტორისტების წახალისებას, ხელფასის მხრივ, რომელნიც ერთსა და იმავე საბჭოთა მეურნეობაში ხანგრძლივად მუშაობენ. ამ მიზნით, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დააწესა ახალი განაკვეთების პროცენტული დანარიცხები იმ ტრაქტორისტებისათვის, რომელნიც 1932 წლის 1 ნოემბრიდან ერთ საბჭოთა მეურნეობაში იმუშავებენ: 1 წელზე მეტს — 10 პროცენტი, 2 წელზე მეტს—15 პროცენტი, 3 წელზე მეტს — 20 პროცენტი. ტრაქტორისტები, რომელნიც ადმინისტრაციის განკარგულებით ერთი საბჭოთა მეურნეობიდან მეორეში გადაჰყავთ ინარჩუნებენ თავიანთ მუშაობის სტაჟს. ტრაქტორისტების გაუპიროვნების სრული ლიკვიდაციისათვის, ხელფასის გადიდებასთან ერთად, ყოველი ტრაქტორისტი აუცილებლად უნდა იქნას მიმაგრებული ტრაქტორზე. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გაუმჯობესებულ იქნას საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტების, კომბაინერების და რემონტის მუშების საბინაო-მშენებლობა და გამოიყოს საგარეუბნო ნაკვეთები ინდივიდუალური ბოსტნეულისათვის: ტრაქტორისტებს ხელი უნდა შეეწყოს მეწველი პირუტყვის, ფრინველის და კურდღლების მოშენებაში. გარდა ამისა, ყველა საბჭოთა მეურნეობებში უნდა შეიქმნას სასურსათო ბაზები (ბოსტნები, მეცხოველეობის ფერმები და სხვ.).

25 მილიონი მანეთი ლენინის სახელობის დირიჟაბლთა ესკადრის ასაგებ ფონდში

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. ლენინის სახელობის დირიჟაბლთა ესკადრის ასაგებ ფონდში საბჭოთა კავშირის მშრომელებმა შეიტანეს 25 მილიონ მანეთზე მეტი. ეს თანხა შემოვიდა შემდეგი დირიჟაბლების ასაგებად: „ლენინი“, „სტალინი“, „ძველი ბოლშევიკი“, „პრავდა“, „კლიმ. ვოროშილოვი“, „თავდაცვა-ავიაქიმი“, და „კოლმეურნე“. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოსთან მოეწყობა ესკადრის აგებაზე შეფობის ცენტრალური კომიტეტი. შეფობის აღება დაუკავშირდება ოქტომბრის 15 წლის თავს და ჩატარდება საზეიმო პირობებში (ადს).

მენდელეევის მე-6 ყრილობა

ხარკოვი, 24 ოქტომბერი. მენდელეევის მე-6 ყრილობაზე, რომელიც გაიმართება 25 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოვიდა 200-ზე მეტი დელეგატი. მოელიან უცხოელ მეცნიერთა ჯგუფის ჩამოსვლას, რომელთაგან რამოდენიმე მეცნიერი მოხსენებას გააკეთებს ყრილობაზე (ადს).

მოსკოვ-კურსკის რკინის გზის მუშების და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების მიმართვის მასიური დამუშავების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1932 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება

1. ცეკა წინადადებას აძლევს 1-ლი და მე-2 საექსპლოატაციო რაიონების ყველა სატრანსპორტო პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ მოაწყონ მოსკოვ-კურსკის რკინის გზის მუშების და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების მიმართვის მასიური დამუშავება და დარაზმონ ტრანსპორტის მუშათა მასები შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად.

2 ამ მიზნით მოაწყონ მიმართვის მასიური დამუშავება ცალკე საწარმოებსა და მუშათა ჯგუფებში (ორთქლმავალთა ბრიგადები, რემონტის ბრიგადები, დისპეტჩერები და სხვ.), ამასთან მოსკოვ-კურსკის რკინის გზის მუშების და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების მიმართვის საპასუხოდ იკისრონ კონკრეტული ვალდებულებანი რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების და არსებული დეფექტების აღმოფხვრის საქმეში.

3. ლენინის რაიკომმა, 1-ლი და მე-2 რაიონის რაიპარტორგანიზატორებმა და რაიპროფსაბჭოებმა მიამაგრონ თავიანთი რაიონების (ტრანსპორტის) ძირითად საწარმოებს პასუხისმგებელი მუშაკები მიმართვის მასიურად დასამუშავებლად და ამ კამპანიის ჩასატარებლად.

4. გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს, „კომუნისტი“-ს, „ტიფლისკი რაბოჩი“-ს, „მუშა“-ს, „პროლეტარ“-ის, და საწარმოთა მრავალტირაჟიან გაზეთების რედაქციებმა სისტემატიურად გააშუქონ დამუშავების მიმდინარეობის და ამ საქმის გარშემო მასების მობილიზაციის საკითხები (ადს).

საბჭოთა კავშირი და იაპონია

იაპონიის პრემიერი საიტო საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ

ტოკიო, 24 ოქტომბერი. 23 ოქტომბერს ყველა გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავენ პრემიერ საიტოს მორიგ ინტერვიუს. გაზეთები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საიტო საჭიროდ სთვლის თავდაუსხმელობის პაქტის დადებას საბჭოთა კავშირთან. „ეჭვს გარეშეა,—აღნიშნა საიტომ, რომ იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის რაიმე კონფლიქტის წარმოშობა ორივე ქვეყნისათვის არასასურველი იქნებოდა. ამიტომ მიზანშეწონილია მიღებულ იქნას ზომები ორივე ქვეყნის ნორმალური ურთიერთობის უზრუნველსაყოფად. ამჟამად ეს ურთიერთობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა და ამიტომ მე ვიკვლევ პაქტის დადების საკითხს და მინდა ეს ფაქტი გამოვიყენო როგორც საშუალება ურთიერთობის გასაუმჯობესებლად“.

გაზეთ „ნიცი-ნიცი“-ს სიტყვით, საიტო უსაფუძვლოდ სთვლის ზოგიერთი წრეების შიშს, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება ბოლშევიზაციის საფრთხეს უქმნის იაპონიას.

გაზეთის სიტყვით, საიტომ ინტერვიუ დაამთავრა შემდეგი განცხადებით: „ვითვალისწინებ რა არსებულ მდგომარეობას, ვფიქრობ, რომ პაქტი შეიძლება დადებულ იქნას“.

იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის შესახებ, საიტომ აღნიშნა, რომ ჩინეთში გამეფებულ ქაოსის გამო, უშუალო მოლაპარაკება ჩინეთსა და იაპონიას შორის შეუძლებელია ჩინეთის გაერთიანების დამთავრებამდე. „ლიტონის მოხსენება,—განაცხადა საიტომ, —ნაწილობრივ სცნობს იმ ფაქტს, რომ ჩინეთში გამეფებულია ქაოსი. ასეთ სახელმწიფოსთან უშუალო მოლაპარაკების წარმოება, რასაკვირველია, შეუძლებელია. მოლაპარაკების წარმოება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩინეთში მიღწეული იქნება სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანობა. ამ საკითხში ერთა ლიგის ვერავითარი რჩევა - დარიგება ვერ უშველის საქმეს“.

საიტოს აზრით, შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის ურთიერთობის გაუარესება უმთავრესად აიხსნება ნერვიულობით, რაც გამოიწვია ამერიკაში იაპონიის პრესის განცხადებებმა, რომლებიც მიმართულია შეერთებულ შტატების წინააღმდეგ“. (ადს).

დავიცავთ მშრომელთა სამშობლოს

იმპერიალისტური ომისა და ინტერვენციისაგან

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას რეზოლუცია

პარიზი, 24 ოქტომბერი. „ლიუმანიტე“-მ გამოაქვეყნა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მიერ მიღებული შემდეგი რეზოლუცია:

„საფრანგეთის კომპარტიის ცეკა, შეიკრიბა რა კომინტერნის აღმასკომის მე-12 პლენუმის დადგენილებათა განსახილველად და მათი გატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა მისაღებად, თავის ძმურ სალამს უძღვნის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. სტალინი.

იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ემზადება ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავის ზეიმისათვის. საფრანგეთის კომპარტიის ცეკა საჭიროდ სცნობს აღნიშნოს თავისი სოლიდარობა და თავისი სრული თანხმობა საკ. კ. პ. (ბ) პოლიტიკასთან, რომლის მეოხებით შესაძლებელი გახდა ხუთწლედის განხორციელება ოთხ წელიწადში, სოციალისტური მშენებლობის საძირკვლის ჩაყრა და მეორე ხუთწლიანი გეგმის დამუშავების დაწყება, რომლის მიზანია უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება. საფრანგეთის კომპარტიის ცეკა სავსებით იწონებს ყველა ზომებს, რომლებიც მიიღო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. რიუტინის კონტრრევოლუციური ჯგუფის და მისი თანამონაწილეების — ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავის წინ, როდესაც საბჭოთა კავშირმა უშუალოდ დაამტკიცა სოციალისტური საზოგადოების უპირატესობა კაპიტალისტურ რეჟიმთან შედარებით, რომელიც სულ უფრო ინგრევა კრიზისის და რევოლუციური მასების ზეგავლენით, საფრანგეთის კომპარტიის ცეკა მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს და გლეხებს იყვნენ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე და ფხიზლად დაიცვან მშრომელთა სამშობლო იმპერიალისტური ომის და ინტერვენციის მუქარისაგან. გრძნობს რა მთელ პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრება საფრანგეთის კომპარტიას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში და საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში, საფრანგეთის კომპარტიის ცეკა ვალდებულებას კისრულობს პარტიის მთელი ძალღონე მოანდომოს კომინტერნის აღმასკომის მე-12 პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებას“ (ადს).

მშიერი ლაშქრობა ინგლისში

ლონდონი, 24 ოქტომბერი. მშიერი ლაშქრობის მონაწილეებს ყველგან ენტუზიაზმით ხვდებიან. ლანკაშირის შუა კოლონა ჩამოვიდა ოქსფორდში. ადგილობრივმა სტუდენტებმა მოაწყვეს ლაშქრობის მონაწილეთა შეხვედრა და გადასცეს მათ ახალი დროშები ნაცვლად იმ დროშებისა. რომლებიც მოლაშქრეთ ჩამოართვა პოლიციამ სტრაფორდში. სტრაფორდში ლაშქრობის მონაწილეთა კოლონაზე პოლიციის თავდასხმის დროს ლაშქრობის 12 მონაწილეს სცემეს ისე, რომ მათ ვერ შესძლეს სიარული და ჩავიდნენ ოქსფორდში რკინის გზით. 50 მოლაშქრეს დასჭირდა საექიმო დახმარების აღმოჩენა.

ჩრდილოეთის კოლონა ჩავიდა კემბრიჯში, სადაც მას სტუდენტებმა და მუშებმა მოუწყვეს საზეიმო შეხვედრა ქალაქიდან 5 კილომეტრის მოშორებით. მიუხედავად წვიმისა, გაიმართა მიტინგი.

პლიმუტიდან მიმავალი კოლონა, პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩავიდა უაიტჩერში და აიძულა ადგილობრივი ხელისუფლება მოეთავსებია ლაშქრობის მონაწილენი მუნიციპალიტეტის შენობაში.

საუტჰემპტონიდან და პლიმუტიდან წამოსული კოლონები შეერთდენ ბეტზინსტოკეში, მოლაშქრეებმა აიძულეს ადგილობრივი ხელისუფლება მიეცა მათთვის, ბინები. უაიტჩერჩსა და ბეტზინსტოკში გაიმართა მძლავრი დემონსტრაციები. ლაშქრობის მონაწილეთა საჭიროებისათვის შეგროვილ იქნა საგრძნობი თანხა.

სამხრეთ უელსის კოლონა ჩავიდა რიდინგში. მოსახლეობა ლაშქრობის მონაწილეებს აწვდის სურსათს.

ნორვიჩის კოლონა, კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ჩავიდა ბრენტში. მუშათა ადგილობრივმა კოოპერატივმა კოლონის მონაწილეებს დაურიგა ტანისამოსი და ცხელი საჭმელი. დაიძრნენ კოლონები ბრაიტონიდან და კენტიდან.

გაზეთები სპეციალურ განყოფილებებს უთმობენ ლაშქრობას. კონსერვატიული გაზეთები „მოსკოვის ოქროზე“ გაჰკივიან

ყალბი ფულის მჭრელთა ბანდის პროცესი

ბერლინი, 24 ოქტომბერი. 24 ოქტომბერს ბერლინის სასამართლოში დაიწყო ყალბი ფულის მომჭრელთა ბანდის პროცესი. ბრალდებ. სკამზე სხედან მთელი რიგი თეთრგვარდიელი ემიგრანტები: **მამონოვი, ურალსკი, უდინოვი, ნელიდოვი, მიასოედოვი** და რამდენიმე გერმანელი, მამონოვს და მიასოედოვს უკვე 1922—1923 წელს ჰქონდათ მისჯილი საკატორღო მუშაობა ყალბი ფულის გავრცელებისათვის. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ბრალდებული ნელიდოვი, რომელიც დაკავშირებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიდი თანამდებობის მოხელე შპიკერთან. შპიკერისაგან მიიღო 6,000 მარკა იმისათვის, რომ ნელიდოვმა აღუთქვა მას „განსაზღვრული მიზნებისათვის“ დანიშნულ დოკუმენტების“ გადაცემა. როცა ნელიდოვი გაქრა თავისი „დოკუმენტებით“, შპიკერმა ეს საქმე არ გადასცა სასამართლოს, არამედ მოსთხოვა მას მიღებული ფულის უკან დაბრუნება. ნელიდოვმა დაუბრუნა მას ეს ფული ყალბი სტერლინგებით და დოლარებით, რომლებიც დამზადებული იყო მიასოედოვის სახელოსნოში.

მიასოედოვს წაყენებული აქვს აგრეთვე ბრალდება ყალბი პასპორტების დამზადებაში (ადს).

საქართველოს ლენინური კომკავშირის 15 წლისთავი

სსრ-ის შრომის წითელი დროშის ორდენი საქართველოს ლენინურ კომკავშირს

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს რა:

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის გმირულ ბრძოლას მენშევიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური სიძლიერის განმტკიცებისათვის, ყველა ჯურის გადახრების, მათდამი შემარიგებლობის, კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის და მისი ნაშთების წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებისათვის, რომელიც ამავე დროს, პარტიის ხელმძღვანელობით, ბოლშევიკ. თავდადებით და გატაცებით იბრძოდა სოც. აღმშენებლობის ყველა ფრონტებზე — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განვითარების და სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის მაღალ საფეხურზე ასაყვანად ქალაქად და სოფლად, ადგენს: საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი დაჯილდოვებულ იქნეს საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე — ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი — ს. თოდრია.

1932 წ. ოქტომბრის 23.
თბილისი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება

საქ. კომკავშირის ერთ-ერთ უძველეს რაზმს— საქართველოს კომკავშირს

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უგზავნის საქართველოს ლენინურ კომკავშირს მისი 15 წლისთავზე.

განვლილი 15 წლის განმავლობაში საქართველოს კომკავშირმა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ჩასწერა კონტრრევოლუციური პარტიების და ახალგაზრდობის ორგანიზაციების (მენშევიკები, ახალგაზრდა „მარქსისტები“ და სხვ.), ნაციონალ - უკლონიზმის, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის, პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის ბრწყინვალე ფურცლები.

განვლილი 15 წლის მანძილზე საქართველოს კომკავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გვიჩვენა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში თავდადებული ბრძოლის ნიმუშები.

საქართველოს კომკავშირმა, რომელიც წარმოადგენს საკავშირო ა.ლ.კ.კ.-ის ერთ-ერთ უძველეს რაზმს, ორ ფრონტზე ბრძოლით კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა და გამობრძმედა ბრძოლაში ასობით და ათასობით მებრძოლნი, სოციალისტურ საზოგადოების აქტიური მშენებლები.

საქართველოს კომკავშირი მუდამ იყო საქართველოს კომპარტიის საიმედო თანაშემწე მის გმირულ ბრძოლაში მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ, ძველი ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნისათვის.

ცენტრალური კომიტეტი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს კომკავშირი შემდეგშიაც გააჩაღებს უფრო თავგანწირულ ბრძოლას საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, მუშა და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის აღზრდისათვის მებრძოლ მარქსიზმ-ლენინიზმის, ლენინური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

გაუმარჯოს საქართველოს კომკავშირს!

გაუმარჯოს საქ. კომპარტიას (ბ) და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ამხ. სტალინის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური
კომიტეტი.

საქართველოს კომკავშირის ცეკას და თბილისის კომიტეტის პლენუმი

25 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში შესდგა საქ. ა. ლ. კ. კ-ის ცეკას და თბილისის კომიტეტის საზეიმო პლენუმი, საქართველოს ლენინური კომკავშირის 15 წლისთავის აღსანიშნავად. პლენუმი გაიხსნა საქ. ა. ლ. კ. კ-ის ცეკას მდივნის ამხ. გიორგობიანის შესავალი სიტყვით. პლენუმმა ფეხზე ადგომით პატივი სცა საუკეთესო ამხანაგების და საქართველოს კომკავშირის ორგანიზატორის ამხ. ბორის ძნელაძის ხსოვნას.

პლენუმი მქუხარე ტაშით შეხვდა ამხ. ლ. ბერიას, ფ. მახარაძის, პ. მელაძის, პ. აღნიაშვილის, ვერშკოვის და სხვ. სცენაზე გამოჩენას. მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. სტალინი (დიდი ოვაცია), მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, კუიბიშევი, კიროვი, ტელმანი, ბერია, მახარაძე, ცხაკაია, კოსარევი, პოლონსკი, ხანჯიანი და ჩემოდანოვი.

პლენუმმა მოისმინა ამხ. კ. ორაგველიძის მოხსენება „საქართველოს ა. ლ. კ. კ-ის 15 წელი და ჩვენი მორიგი ამოცანები“. შემდეგ გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. ამხ. ფ. მახარაძე მიესალმა პლენუმს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სახელით. მან წაიკითხა საქართველოს ცაკის დადგენილება, რომლითაც საქართველოს კომკავშირი, მისი 15 წლისთავის აღსანიშნავად, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით და გადასცა ორდენი საქართველოს ა. ლ. კ. კ-ის ცეკას მდივანს ამხ. გიორგობიანს. (ადს).

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: საქ. ა. ლ. კ. კ-ის ც.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ვერშკოვი, ძველ ბოლშევიკების საზოგადოების და საქართველოს პროფსაბჭოს სახელით — ამხ. გ. სტურუა, თბილისის პიონერების სახელით — ამხ. ჭყონია და სხ. პლენუმმა ფეხზე ადგომით პატივი სცა ძველი ბოლშევიკის ამხ. სტეპანის, ხსოვნას. ძველი კომკავშირელების სახელით გამოვიდა ამხ. აგამალიანი, პარტიის თბილისის კომიტეტის და თბილისის საბჭოს სახელით — ამხ. ს. აკოფოვი, განახკომის სახელით — ამხ. ბედია, სომხეთის კომკავშირის ერევნის კომიტეტის დავალებით — ამხ. გევორქიანი, კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სახელით — ამხ. მაიზელიხი და სხ.

შემდეგ პლენუმმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას —ამხ. სტალინს, საქ. ა. ლ. კ. კ-ის ცეკას, საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს — ამხ. ბერიას, საქ. ა. ლ. კ. კ-ის ა.-კ. სამხარეო კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და თბილისის კომიტეტს, და მოძმე რესპუბლიკების — სომხეთის და აზერბეიჯანის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტებს.

საქართველოს კომკავშირის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით, პლენუმმა გადაწყვიტა მიმართოს საქართველოს კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს სპეციალური მოწოდებით.

ამხ. სტეპანოვის მიერ კალინინის სახ. ქარხნის პატაკის წაკითხვის შემდეგ, საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივანი ამხ. გიორგობიანი, რომელმაც სიტყვა მისცა ყველა დამსწრეთ, რომ საქართველოს კომკავშირი, პარტიის უახლოესი თანაშემწე; მონაწილეობას მიიღებს პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე მდგარ ყველა ამოცანების გადაჭრაში. (ადს).

განსაკუთრებული ყურადღება

პარტიული მშენებლობა

უჯრედების დადგენილებათა შესრულების შემოწმებას

ბოლშევიკური ხელმძღვანელობა გაუწიოთ სოფლის პარტუჯრედებს

(ქუთაისი)

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა (აგვისტო-სექტემბერი) სოფლის პარტუჯრედების შემოწმება, მათი მუშაობის საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 21 მარტის საფუძველზე გარდაქმნის მიზნით, რომელმაც გამოარკვია, რომ მთელი რიგი სოფლის პარტუჯრედების მუშაობა (მაღლაკი, სიმონეთი, ოფშკვითი, ნამახვანი) თვითმიმდინარეობაზე იყო დაყრდნობილი. არ იყო გამოყოფილი ძირეული პარტიული რგოლები, ძალზე სუსტი ხელმძღვანელობა ეწეოდა კოლმეურნეობებს და სასოფლო საბჭოებს. სუსტად იყო დაყენებული სოფლის პარტუჯრედის კადრებით უზრუნველყოფის საქმე და სხვ.

სოფლის პარტუჯრედების მუშაობის გამორკვევის და შესწავლის ნიადაგზე საქალაქო კომიტეტმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლის მიხედვითაც გაიშალა სოფლის პარტორგანიზაციის მუშაობა.

საქალაქო კომიტეტმა სოფლად მიამაგრა ბ.-ბგ. ამხანაგები, რომელთაც დაევალათ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის და ს. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებათა რეალიზაცია, სოფლის საშუალო და ძირეული რგოლის გამაგრების და კადრებით უზრუნველყოფისათვის. ამასთან დაკავშირებით, როგორც ქალაქად, ისე სოფლად შემოღებულ იქნა ერთიანი პარტიული დღეები, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა პარტჯგუფების კრებები და ხარისხი.

როგორ ჩატარდა ერთიანი პარტიული დღისათვის მოსამზადებელი მუშაობა სოფლად? ამისათვის მოვიყვანთ მაგალითს:

ფარცხანაყანევის პარტუჯრედმა პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის საქმეში ერთგვარი მიღწევები მოიპოვა, უჯრედმა ფართოდ გაშალა ბრძოლა კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, უჯრედმა ჩაატარა კომუნისტების ავანგარდული როლის შემოწმება, გააცხოველა ხელმძღვანელობა ძირეულ საკოლმეურნეო რგოლებში.

პარტორგანიზაციამ ყურადღების ცენტრში დააყენა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება, სანარდო სისტემის გატარება, დანაკარგებთან ბრძოლა, მოსავლის თავის დროზე აღება, საშემოდგომო თესვა, საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლა და სხვა.

მთელ რიგ სამუშაო ობიექტებზე ჩამოყალიბებულია პარტჯგუფორგები, რომელნიც სისტემატიურად ატარებენ საუბრებს, მიმდინარე სამეურნეო - პოლიტიკურ საკითხებზე. ერთიანი პარტიული დღე 5 ოქტომბერს ფარცხანაყანევის პარტუჯრედმა მომზადებულად ჩაატარა, 2 ოქტომბერს მოიწვია ძირეული პარტრგოლები, სადაც დამუშავდა პარტდღის წესრიგი, შემუშავებული იქნა კონკრეტული გეგმა, გამოიკრა განცხადებები, გამოიყო პარტკომკავშირლები, რომელთაც დაევალათ წინადადების შეგროვება ცალკე კოლმეურნეობებში და უბნებში და გამოეშვათ „ელიოვეკები“. მოსამზადებელი მუშაობის ამგვარად გაშლამ უზრუნველყო კრების წარმატებით ჩატარება. კრებაზე შემოვიდა 16 საქმიანი შეკითხვა და კამათში მონაწილეობა მიიღო 7 ამხანაგმა, რომელნიც ბოლშევიკური თვითკრიტიკით ამხილდნენ ადგილობრივი საბჭოს მისი სექციების და სას. სამ. არტელების დეფექტებს, სახავდნენ ღონისძიებებს შემჩნეული დეფექტის გამოსწორებისათვის. კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ საჭიროა მეტი ყურადღების გადატანა მიმდინარე საშემოდგომო თესვის მოსავლის აღების, სასილოსე მშენებლობის, საკოლმეურნეო ვაჭრობის და ხორცის დამზადების ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მაღლაკის სას. საბჭოს კომუჯრედმა ერთიანი პარტდღე მომზადებულად ჩაატარა მივლინებული პ. მგებ. ამხანაგებმა ადგილობრივი ბრიგადებთან ერთად გამოარკვიეს პარტუჯრედის მუშაობა და დასახეს ღონისძიებანი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 7 აგვისტოს, დადგენილების საფუძველზე.

ოფურჩხეთის პარტუჯრედმა ერთიანი პარტდღის ჩატარებისათვის მომზადებული მუშაობა გადაიტანა: მინდვრებზე, რისთვისაც ფართოდ იქნენ გამოყენებული პარტორგები და კომკავშირის წევრები.

მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში უმთავრესი ყურადღება გადატანილი იქნა შემოდგომა - ზამთრის პარტგანათლების ქსელის გაშლისათვის. ჩამოყალიბდა 7 პოლიტსკოლა, რომლის მუშაობა დაიწ. 13 ოქტომბრიდან. ასევე წარმატებით ჩატარდა სამზადისი სხვა პარტუჯრედებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არიან ისეთი პარტუჯრედები, რომელნიც სუსტად იბრძვიან პარტმასიური მუშაობის გარდაქმნისათვის (წყალტუბო, ნამახვანი, ნახშირღელე, და სხვ.). წყალტუბოს სასოფლო პარტუჯრედმა ვერ გაშალა სათანადო მუშაობა ძირეულ რგოლებში, გამოყოფილი პარტორგები უმოქმედობას იჩენენ, მათ არ ეძლევათ კონკრეტული დავალებანი.

მეორე ქართ. შაროლელ დივიზიის არტელში ადგილი აქვს მთელ რიგ უმზგავსობებს. არტელში ადგილი აქვს გაუპიროვნებას (იარაღებზე ცოცხალ გამწევ-ძალაზე), ბრიგადებს არ ეძლევათ ყოველდღიური საწარმოო დავალებანი, არ იწვევა საწარმოო თათბირები, არტელში ჩამორჩენილია შემოსავალ - გასავლის აღრიცხვა, კოლექტიური გამგეობის ზოგიერთ წევრებში ადგილი აქვს კონკლაობას, რასაც ხელს უწყობს არტელის გამგეობის თავმჯდომარე თუთბერიძე, გამგეობის წევრი გ. ზერიძე და სხვ. სასოფლო უჯრედმა ყოველივე ეს იცის, მაგრამ არ ღებულობს, გადამჭრელ ზომებს დამნაშავეთა წინააღმდეგ.

ქვიტირის პარტუჯრედმა 5 სექტემბრის ერთიანი პარტიული დღისათვის ვერ უზრუნველყო მოსამზადებელი მუშაობის ფართოდ გაშლა, რის შედეგად პარტკომკავშირლების დასწრება არ იყო დამაკმაყოფილებელი.

კვახჩირის კინდირაულის საბჭოთა მეურნეობაში პარტუჯრედის მდივანი ვ. ჯანელიძე ოპორტუნისტულ შეუფასებლობას იჩენს ერთიანი პარტდღისადმი და ა. შ.

საჭიროა ქუთაისის პარტრაიკომმა დროზე მიაქციოს ყურადღება ჩამორჩენილ უჯრედების მუშაობას.

ვ. ლ—ი

პარტუჯრედის ხელმძღვანელობა კომკავშირზე სუსტია

(სამტრედია)

სამტრედიის რაიონში თვალსაჩინო მუშაობა იქნა ჩატარებული საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტ. დადგენილების რეალიზაციისათვის.

სანამ დაიწყებოდა პარტიულ - მასიური მუშაობის გარდაქმნა, რაიონში არსებობდა 11 სას. სამ. პარტუჯრედი, ამჟამად კი გვაქვს 9 უჯრედი. აქედან 6 საკოლმეურნეო, 8 სასოფლო, 1 სამანქანო - სატრაქტორო სადგურის და 2 საბჭოთა მეურნეობის.

ივლისიდან პარტიაში მიღებულია 50 კაცი, ასე, რომ სოფლად ამჟამად გვყავს პარტიის 165 წევრ-კანდიდატი.

სოფლის პარტიულ უჯრედებში გამოყოფილია 65 პარტორგი.

საკოლმეურნეო უჯრედების განმტკიცების მიზნით რაიონიდან სოფლად გადასროლილი იქნა პარტიის 19 წევრი, (პ. მ. ამხანაგები) რამაც მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა, საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულების საქმეში, ამასთანავე რაიონში არის ისეთი კოლმეურნეობა და საკოლმეურნეო ბრიგადები, სადაც არც ერთი პარტწევრ-კანდიდატი არა გვყავს, რაც ხელს უშლის სოფლად პარტიულ- მასიური მუშაობის გაშლას.

რაიონში მოწყობილი იქნა პარტრიგების მოსამზადებლად ათდღიური კურსები, სადაც მომზადდა 80 პარტორგანიზატორი.

სხვადასხვა კურსებზე (რაიონის გარეთ) გაგზავნილი იქნა პარტიის 15 წევრი.

რაიკომთან შექმნილია უფასო ინსტრუქტორთა კადრი 25 ამხნაგის შემადგენლობით, მიუხედავად იმისა, პარტმასიური მუშაობის შინაარსი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გარდაქმნილი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების და ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე.

ზოგიერთი საკოლმეურნეო და სასოფლო უჯრედების მუშაობა სუსტია. პარტორგებმა ჯერ კიდევ არ იციან საფუძვლიანად თავიანთი მოვალეობა. არადამაკმაყოფილებელია ძირეულ რგოლებზე პარტუჯრედების ბიუროების ხელმძღვანელობა, არ იწვევა მათი თათბირები. უმეტეს შემთხვევაში პარტუჯრედების დადგენილებათა შემოწმება არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს, ზოგიერთ უჯრედებში პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ნაცვლად ოპერატიული ფუნქციების ჩარევით უპიროვნებენ ძირეულ საკოლმეურნეო რგოლებს. პარტიის ზრდის და მოწესრიგების საკითხს არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ქულაშის, სეფიეთის და გამოჩინებულის უჯრედები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მარქსისტულ - ლენინურ სწავლებას, სუსტია პარტიული უჯრედების ხელმძღვანელობა კომკავშირის ორგანიზაციებზე. (ქულაში, ეწერი) ამის გამო კომკავშირის უჯრედები ვერ იბრძვიან მიმდინარე კამპანიების ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

მთელ რიგ პარტიულ უჯრედებში პარტკანდიდატთა შორის მუშაობა მივიწყებულია (ქულაში ეწერი), ამის გამო არის შემთხვევები, რომ ამხანაგები „კანდიდატობაზე“ რჩებიან 2—3 წლის განმავლობაში. რაც არანორმალურ მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა ამ ჩამორჩენილობის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე.

ა. კირცხალია, პ. ზარქუა

საჭიროა მეტი კონკრეტულობა

(ბაღდათის რაიონი)

ბაღდათის რაიონის მთელ რიგ უჯრედებში საგაზაფხულო პარტსწავლება ჩაიშალა. ასევე ითქმის კომკავშირის პოლიტგანათლებაზედაც.

ამჟამად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას დადგენილების საფუძველზე უკვე მიღებულია ზომები შემოდგომა - ზამთრის პარტსწავლების ქსელის გაშლისათვის. რაიონის პარტუჯრედებში ყალიბდება სულ 24 სკოლა, აქედან 9 საკანდიდატო, 9 დაწყებითი და 4 მიმდინარე, პოლიტიკის შემსწავლელი და 1 ლენინიზმის შემსწავლელი წრე. პარტგანათლების ქსელში ჩაბმული იქნება 483 მსმენელი (პარტწევრი 156, პარტკანდიდატი 94, კომკავშირელი 146 და უპარტიო 101.

კომკავშირის ხაზით იხსნება 34 პოლიტსკოლა, აქედან 23 ახალ მოსულთა, 7 საკოლმეურნეო მოძრაობის შემსწავლელი, 2 პარტიისტორიის შემსწავლელი და 2 მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი. სკოლებში სულ ჩაბმული იქნება 978 კომკავშირელი., 192 პიონერი და 351 უპარტიო.

იმისათვის, რომ არ განმეორდეს ზაფხულის პერიოდში პარტსწავლების საკითხებში დაშვებული შეცდომები ახლავე უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები, რათა სკოლები უზრუნველყოფილი იქნეს სახელმძღვანელოებით, ბინებით და პროპაგანდისტებით. აუცილებლად უნდა შეიქმნეს მჭიდრო - ზიური პარტ. და კომკავშირის რაიკომთან. უნდა გაძლიერდეს კონკრეტული ხელმძღვანელობა ადგილებზე. უნდა იქნეს მიღებული ორგანიზაციული ზომები მათზე ვინც ვერ აფასებს პარტგანათლებას.

არ. სულაბანიძე.

გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, რევოლუციის ვეტერანი ამხ. ალექსანდრე სტოპანი

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. (საკ. კორ.) დღეს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი - ვეტერანი ალექსანდრე მიტროფანის ძე სტოპანი.

საკ. კ.პ. (ბ) ცკამ ამხ. სტოპანის გარდაცვალების გამო გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„საკ. კ.პ. (ბ) ცკა მწუხარებით იუწყება ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორის, პარტიის გენერალური ხაზისათვის აქტიური მებრძოლის—ალექსანდრე მიტროფანის ძე სტოპანის გარდაცვალებას“.

დღეს ამხ. სტოპანის ცხედარი მოათავსეს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების დიდ დარბაზში (ფოკინის შესახვევი). ხვალ მოხდება კრემაცია. ურნა ცხედრით მოთავსებული იქნება კრემლის კედელში.

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების მიმართვა ამხ. სტოპანის გარდაცვალების გამო

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. 23 ოქტომბერს, ღამის 3 საათსა და 25 წუთზე, გარდაიცვალა ამხ. ალექსანდრე მიტროფანის-ძე სტოპანი. მოკვდა ერთი იმათაგანი, ვინც ქმნიდა ჩვენს პარტიას, ვინც პირველი მარქსისტული წრეების წარმოშობისთანავე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი პარტიის მთელ ისტორიაში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამ რევოლუციაში, უკვე ოთხმოციან წლების დამლევს ამხ. სტოპანი, მაშინ ყაზანის გიმნაზიელი, კავშირს აბამს ალაფუზოვის ქარხნების მუშებთან.

სწორედ მუშათა ცხოვრების გაცნობის გავლენით იგი შედის მარქსისტულ წრეში და ხდება რევოლუციონერ მარქსისტად. 1892 წელს ყაზანში მან მტკიცედ დაისახა ის გზა, რომელსაც იგი მტკიცედ ადგა 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. იაროსლავლში ამხ. სტოპანმა შექმნა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. მოსკოვში 1899 წელს, გადასახლებიდან დაბრუნებული მაშინ ლენინის პირველი მოწოდებისთანავე ამხ. სტოპანი მონაწილეობას ღებულობს რუსული ორგანიზაციის „ისკრა“-ს შექმნაში, „ისკრა“-ს აგენტის სახით იგი ქმნის „ჩრდილოეთის მუშათა კავშირს“, მონაწილეობას ღებულობს მეორე ყრილობის მოსამზადებელ მუშაობაში და ამ ყრილობას ესწრება, როგორც „ჩრდილოეთის კავშირის“ დელეგატი. აქ ამხ. სტოპანი, გათიშვის დროს, ყოველგვარი მერყეობის გარეშე, შედის ბოლშევიკურ ფრაქციაში

მთელი მისი შემდგომი არალეგალური მუშაობა მიმდინარეობს კოსტრომასა და ბაქოში. ამ ქალაქებში იგი მუშაობს მასებს ამზადებს რევოლუციისათვის. 1905 წელს კოსტრომაში. ხოლო 1917 წელს ბაქოში ამხ. სტოპანი, რომელიც ხელმძღვანელ პოსტზე იმყოფება, მონაწილეობას ღებულობს რევოლუციონერ ბრძოლებში. სამოქალაქო ომის შემდეგ იგი მუშაობს შრომის სახალხო კომისარიატის შექმნაზე და უზენაეს სასამართლოს შრომითი საქმეების მეთვალყურეობის ხაზით. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ამხ. სტოპანმა მოანდომა მუშაობას ძველ ბოლშევიკთა საკავშირო საზოგადოებაში. მან მთელი თავისი ძალღონე და მთელი ენტუზიაზმი მოახმარა იმას, რომ ეს საზ-ბა გადაქცეულიყო პარტიის აქტიურ თანაშემწედ, რათა ახალგაზრდა თაობებისათვის გადაეცა ძველ ბოლშევიკთა ლენინური ტრადიციები, მათი შეურიგებლობა ყოველგვარი გადახრისადმი პარტიის ლენინური ხაზიდან, მათი ფოლადისებრი რწმენა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებაში, მათი მზადყოფნა ყოველგვარი სიძნელის გადალახვისათვის.

გარდაიცვალა ერთ-ერთი საუკეთესო და უძველესი ბოლშევიკი, ლენინის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე შესწირა პარტიას და მუშათა კლასს.

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების საბჭ. პრეზიდიუმი.

ამხ. სტოპანი

23 ოქტომბერს მოსკოვში გარდაიცვალა ძველ ბოლშევიკთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, რევოლუციის ვეტერანი ალექსანდრე სტოპანი. ძველი ბოლშევიკური გვარდია კარგად იცნობდა ა. მ. სტოპანს, როგორც საუკეთესო ლენინელს, რომელმაც 40 წელი შესწირა მუშათა კლასის გამარჯვებისათვის გმირულ ბრძოლას.

ა. მ. სტოპანი დაიბადა 1871 წელს ირკუტსკში, ექიმის ოჯახში. ამხ. სტოპანის რევოლუციონური მუშაობა იწყება ყაზანში, სადაც მისი მამა გადაყვანილი იქნა სამხედრო ექიმად ყაზანის თოფის წამლის ქარხნებში. ჯერ კიდევ 15—16 წლის გიმნაზიელი იგი კავშირს იჭერს ალაფუზოვის ქარხნების მუშებთან, რომელთა შორის ეწევა რევოლუციონურ პროპაგანდას.

1893 წელს სტუდენტობის დროს ამხ. სტოპანი მუშებთან პეტროვთან და ტაშკინთან ერთად ქმნის მარქსისტულ წრეს, რომელშიაც შედიოდა აგრეთვე განსვენებული ე. ბაუმანი.

1894 წლის შემოდგომაზე ამხ. სტოპანი „დამოუკიდებელ მიზეზების გამო“ იძულებული იყო დაეტოვებია ყაზანი და გადასახლდა იაროსლავში, სადაც მან დაამთავრა ლიცეი და მუშაობდა ერობაში სტატისტიკოსად. ლიცეიში მან დაარსა მარქსისტული წრე და კავშირი გააბა მოსკოვის ორგანიზაციასთან. 1896 წელს ამხ. სტოპანი დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს ამხ. სტოპანი გადავიდა პსკოვში, სადაც შევიდა „ისკრა“-ს ჯგუფში. აქ იგი მუშაობს ვლადიმერ ილიჩის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ საზღვარგარეთული ბიუროს დავალებით და ქმნის ადგილობრივ რევოლუციონურ ჯგუფს, შემდეგში ჩრდილოეთის მუშათა კავშირისათვის ხელისშემწყობ ჯგუფს.

ჩრდილოეთის ჯგუფმა გაგზავნა ამხ. სტოპანი თავის წარმომადგენლად პარტიის მეორე ყრილობაზე.

1904 წელს ამხ. სტოპანი გადადის ბაქოში, სადაც იწყება მისი რევოლუციონური მუშაობის ახალი ხანა. ბაქოში იგი მუშაობს სტატისტიკოსად ნავთის მრეწველობის მუშათ: საზოგადოებრივ-სამეურნეო ორგანიზაციებში.

ამ მუშაობის დროს იგი მჭიდროდ დაუკავშირდა ბაქოს მუშებს და მიზნად დაისახა ბაქოში მტკიცედ ფეხმოდგმულ მენშ. კომიტეტის დაშლა და ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნა 1904 წ. დეკემბერში მომხდარ გაფიცვის დროს ამხ. სტოპანი შედიოდა საგაფიცვო კომიტეტში ამხ. ა. ჯაფარიძესთან და სხვ. ერთად.

1905 წელს რუსეთში პოლიტიკური ატმოსფერა გაიწმინდა და ამხ. სტოპანს შესაძლებლობა მიეცა დაბრუნებულიყო კოსტრომაში, სადაც იგი მუშაობდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე. იგი დროებით გადავიდა პეტერბურგში ბოლშევიკურ „ვოლნა“-ს გამოსაცემად.

მალე ამხ. სტოპანი კვლავ დაბრუნდა ბაქოში, სადაც ეწეოდა უმთავრესად პროფესიონალურ მუშაობას,—როგორც „გუდოკ“-ის პასუხისმგებელი მდივანი და თავისი პროფესიონალური ჯგუფის წევრი. 1909 წელს ამხ. სტოპანი დაიჭირეს და ეტაპით გაგზავნეს კოსტრომაში, სადაც იჯდა საპატიმროში. განთავისუფლების შემდეგ კვლავ დაბრუნდა ბაქოში და შეუდგა პარტიულ მუშაობას. აქ მოუსწრო მას თებერვლის რევოლუციამ, ხოლო შემდეგ ოქტომბრის რევოლუციამ.

1914 წელს მისი ბაქოში ყოფნის დროს იქ მოხდა საყოველთაო გაფიცვა. ამხ. სტოპანი არჩეულ იქნა საგაფიცვო კომიტეტში. 1914 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს, საპატიმროში იჯდა 1915 წლამდე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოუსაჯა 5 წლით გადასახლება, რაც შემდეგ სამხარეო ხელისუფლებამ შეუცვალა გაძლიერებული საპოლიციო მეთვალყურეობით. ამიტომ აღნიშნულ პერიოდში ამხ. სტოპანი ცდილობს ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებას, განსაკუთრებით კოოპერაციაში.

1917 წელში იგი ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით ხელმძღვანელობდა მუშათა კოოპერაციას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამხ. სტოპანს ეკავა მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობანი. 1918 წლის დასაწყისში ის იყო თერგის სახალხო კომისართა საბჭოს შრომის კომისრად, შემდეგ ბაქოს საბჭოს რწმუნებულად სასურსათო მომარაგებისა და სამხედრო იარაღ-მოწყობილობათა შეძენის საქმეში.

1918 წელს ამხ. სტოპანი გაწვეულ იქნა მოსკოვში შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად. იმავე წელს გაიგზავნა ყაზანში საბჭოთა ხელისუფლების აღსადგენად, ხოლო 1919 წელს ხელმძღვანელობდა კომისიას, რომელსაც დავალებული ქონდა ქალ. რიგის დაცემის მიზეზების გამორკვევა.

1920—21 წლებში კვლავ იგზავნება ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იგი არჩეულ იქნა ჩრდილო-კავკასიის რევოლუციონური კომიტეტის წევრად.

1922 წელში ამხ. სტოპანს ირჩევენ ჩრდილო-კავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ. 1922 წლიდან ის იყო საბჭოთა კავშ. შრომის სახ. კომისარიატის საკონფლიქტო განყოფილების გამგე.

უკანასკნელ ხანებში ამხ. სტოპანი მუშაობდა უზენაეს სასამართლოში შრომის საქმეთა პროკურორად.

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების პირველი სრულიად საკავშირო კონფერენციაზე ამხ. სტოპანი არჩეულ იქნა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც იგი მუშაობდა უკანასკნელ დღემდე.

1931 წ. 22 ოქტომბერს ძველ ბოლშევიკთა საკავშირო საზოგადოებამ აღნიშნა ამხ. სტოპანის დაბადებიდან 60 წლის შესრულება.

ამხ. სტოპანი წარმოადგენდა ბოლშევიკური სიმტკიცის და მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითს.

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამძიმრის დეპეშები

საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტისაგან

საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტი მთელ პარტიასთან ერთად გლოვობს ერთ-ერთი უძველესი ბოლშევიკის ალექსანდრე მიტროფანის ძე სტოპანის გარდაცვალებას, რომელმაც მთელი ძალღონე შესწირა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციის საქმეს და ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ამხ. სტოპანი პირველი მარქსისტული წრეების ჩასახვის დღიდანვე ღებულობდა მონაწილეობას ამ წრეების მუშაობაში, ლენინის ხელმძღვანელობით თავგანწირულად იბრძოდა მუშათა კლასის საქმისათვის, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამ რევოლუციაში. 1917 წელს ამხ. სტოპანი მუშაობდა ამიერ-კავკასიის პროლეტარულ ცენტრში — ბაქოში, სადაც ბოლშევიკების პირველ რიგებში ამზადებდა მასებს რევოლუციისათვის.

ამხ. სტოპანის რევოლუციონური გზა— მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშია, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა უნდა მიბაძონ ამხ. სტოპანის ცხოვრებას, კიდევ უფრო შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები საქ. კ. პ. (ბ) ლენინური ცეკას გარშემო, რომელსაც ამხ. სტალინი მეთაურობს, და უფრო შეუპოვრად იმუშაონ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტი.

—:—

სამძიმრის დეპეშები გაუგზავნეს აგრეთვე საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ და საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურომ.

ბიურომ აგრეთვე დაავალა ამიერ-კავკასიის მთავრობის წარმომადგენლის ამხ. გ. ვაშაძეს მოსკოვში, საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების სახელით განსვენებულის ცხედარი შეამკოს გვირგვინით, და წარმოსთქვას სიტყვა მის დასაფლავებაზე.

ამხ. სტოპანის დაკრძალვა

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. ამხ. სტოპანის ცხედარი დასვენებულია ძველ ბოლშევიკთა საკავშირო საზოგადოების დიდ დარბაზში. 25 ოქტომბერს სამგლოვიარო პროცესია გაემართება წითელ მოედნისაკენ, სადაც ურნა მიცვალებულის ნეშთით ჩაკირული იქნება კრემლის კედელში (ადს).

საქ. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურო აუწყებს სა[illegible] დროების წევრთ და ძველად არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკებს, რომ მოსკოვში 23 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საკავშირო ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, რევოლუციის ვეტერანი

ამხ. ალექსანდრე მიტროფანის-ძე სტოპანი

ახალი კადრების მომზადების ხარისხისათვის

თავის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ კადრების მომზადების ამოცანა დასახა, როგორც რეკონსტრუქციის პერიოდის გადამწყვეტი პრობლემა. უმაღლესი პროფტექნიკური განათლების რეფორმამ, რომელიც ჩატარდა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივლისის და 1929 წლის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ტექნიკური კადრების მომზადება აიყვანა გაზრდილი სოციალისტური მეურნეობის მოთხოვნათა დონეზე. რაღაც 4—5 წლის საბჭოთა სპეციალისტების მომზადების საქმეში მიღწეულია უდიდესი გარდატეხა. ჯერ ერთი კადრების მომზადებაში ჩვენ გვაქვს დიდ რაოდენობრივი გაქანება. უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა რიცხვი საბჭოთა კავშირში, 1928 წელთან შედარებით, ხუთჯერ გაიზარდა და ავიდა 400-მდე, ხოლო ტექნიკუმების რიცხვი—1.600-მდე. უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების და ტექნიკუმების მოსწავლეთა საერთო რიცხვი 1932 წელს 1.500.000 კაცზე მეტია.

პარტიამ დიდ გამარჯვებებს მიაღწია სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების მხრივ ნაციონალურ რესპუბლიკებში, სადაც, ინდუსტრიალიზაციის და საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდასთან შეფარდებით, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებათა საფუძველზე, 1928-29 წლების შემდეგ გაიშალა უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების და ტექნიკუმების მთელი ქსელი. საქართველოში, სადაც 1928 წლისათვის გვქონდა მარტო სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამჟამად, საკავშირო და ფედერატიული მნიშვნელობის უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით, არის: 6 ინდუსტრიალური უმაღლესი სასწავლებელი, 6 სასოფლო - სამეურნეო, 7 სოციალურ - ეკონომიური რომლებშიაც სტუდენტების საერთო რიცხვი უდრის 16.180 კაცს; 24 ინდუსტრიალური, 73 სას.-სამეურნეო და 58 სოციალურ - ეკონომიური ტექნიკუმი, სადაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობა შეადგენს 28.834 კაცს.

მეორე — საგრძნობლად გაუმჯობესდა კადრების მომზადების ხარისხი უმაღლესი სკოლის და ტექნიკუმების სასწავლო მუშაობის რადიკალური გარდაქმნით იმ მხრივ, რომ მუშაობა მიუახლოვეთ სოციალისტური მეურნეობის, სპეციალიზაციის გატარების და განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის შემოღების ამოცანებს. სავსებით გაამართლა თავის თავი უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების და ტექნიკუმების გადაცემამ სახალხო კომისარიატებისათვის, რომელთაც შესძლეს კონკრეტული ხელმძღვანელობის დაწესება უმაღლესი სკოლის მუშაობაზე და უზრუნველყვეს სასწავლო მუშაობის ორგანიული კავშირი წარმოებასთან და სახალხო მეურნეობის დარგების პრაქტიკულ მოთხოვნებთან.

ამ წარმატებებს ახალი პროლეტარული სპეციალისტების მომზადების საქმეში პარტიამ მიაღწია ბრძოლით კლასობრივი მტრის წინააღმდეგ კონტრ - რევოლუციონერ მავნებლების, ბურჟუაზიული ინტელიგენციის და მათი აგენტურის — მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

მაგრამ უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების და ტექნიკუმების მუშაობაში არსებული უდიდესი მიღწევების მიუხედავად, ჩვენ გვაქვს სერიოზული დეფექტები იმ დამახინჯებათა შედეგად. რაც დაშვებულ იქნა კადრების შესახებ პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარების პრაქტიკაში ამ დამახინჯებების და დეფექტების ამომწურავ ანალიზს და შეფასებას იძლევა საბჭოთა კავშირის ცაკი თავის ა. წ. 19 სექტემბრის დადგენილებაში „უმაღლესი სკოლის და ტექნიკუმების სასწავლო პროგრამების და რეჟიმის შესახებ“; ეს დამახინჯებანი გამოიხატა იმაში, რომ სახალხო კომისარიატებმა, აგრეთვე თვით უმაღლესმა სასწავლებლებმა, და უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა კადრების მომზადების საქმეში თავიანთი ყურადღება უმთავრესად მიაპყრეს მუშაობის რაოდენობრივ გაშლას, დაუშვეს პატარა ინსტიტუტების შექმნა და სპეციალობათა ზედმეტი დაქუცმაცება, ამასთან საკმაო ყურადღება ვერ მიაქციეს სასწავლო მუშაობის ხარისხს, რის გამო ახალი კადრების მომზადება მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში დაბალ დონეზე დგას. ეს დამახინჯებანი და დეფექტები წარმოადგენენ სოციალისტური კადრების შესახებ პარტიის მიერ მიღებულ ცნობილ ისტორიულ გადაწყვეტილებათა დარღვევის შედეგს. ახალი სპეციალისტების მომზადების ხარისხის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივლისის პლენუმმა მოგვცა შემდეგი დირექტივა: „სპეციალისტების საერთო მომზადებაში საწარმოო სწავლების როლის ყოველნაირად გაძლიერებასთან ერთად, უზრუნველყოფილ იქნას მათი მეცნიერო - თეორიული მომზადების შემდგომი ამაღლება“.

ამ დირექტივის განსავითარებლად, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო კვლავ გაამახვილა ჩვენი ყურადღება სპეციალისტების მომზადების ხარისხზე.

ამხ. სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში — „ახალი ვითარება სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები“, დასვა მუშათა კლასის რიგებიდან ახალი საწარმოო - ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის ამოცანა. ის ამბობდა: „ჩვენ ახლა უნდა უზრუნველვყოთ თავი. სამჯერ, ხუთჯერ მეტად საინჟინრო - ტექნიკურ და მეთაურთა ძალებით მრეწველობისათვის, თუ მართლა გვსურს განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამა.

მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება არა ყოველგვარი საინჟინრო - ტექნიკური და მეთაურთა ძალები; ჩვენ გვესაჭიროება ისეთ სამეთაურო, და საინჟინრო - ტექნიკური ძალები, რომელთაც შეეძლებათ გაიგონ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის პოლიტიკა, შეეძლებათ შეითვისონ ეს პოლიტიკა და, რომლებიც მზად იქნებიან სინდისის ქვეშ განახორციელონ იგი; ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ისეთ ფაზაში, როდესაც მუშათა კლასმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია, რომელსაც შეეძლება დაიცვას მისი, როგორც გაბატონებული კლასის, ინტერესები წარმოებაში“.

საბჭოთა კავშირის ცაკი თავის დადგენილებაში „უმაღლესი სკოლის და ტექნიკუმების სასწავლო პროგრამების და რეჟიმის შესახებ“ იძლევა კადრების მომზადების საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, უმაღლესი სკოლის და ტექნიკუმების სასწავლო მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის საჭირო მუშაობის გაშლილ პროგრამას, თან სახავს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს იმ დეფექტების და დამახინჯებათა ლიკვიდაციისათვის, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების მუშაობაში.

ახალი კადრების მომზადების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ მიღებულ ცნობილ დადგენილებათა განსავითარებლად, საბჭ. კავშირის ცაკი უმაღლეს სკოლების და ტექნიკუმების ძირითად ამოცანებს ახლანდელ ეტაპზე შემდეგნაირად სახავს:

„საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სცნობს, რომ „სპეციალისტთა კადრების მასიურ მომზადებაში ამჟამად ძირითადი ამოცანაა მიღწეული წარმატებების განმტკიცება და შემდგომი ბრძოლა თეორიული განათლების ამაღლებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში და ტექნიკუმებში, ამასთან მათი კავშირის შემდგომი ყოველმხრივ განმტკიცება წარმოებასთან, სწავლების ხარისხის ამაღლება და თვითეულ მოსწავლის ინიციატივის და ენერგიის ნამდვილად წაქეზება; მის სასწავლო მუშაობაში“.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების და ტექნიკუმების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს უდიდესი დეფექტები აქვთ; მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები მოკლებული არიან მტკიცე სასწავლო გეგმებს (მუშაობენ გარდამავალ სასწავლო გეგმებით); მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში გეგმებიდან სრულიად გამორიცხულია ისეთი საგნები, როგორიცაა ფიზიკა და ქიმია. მკაფიო გეგმიანობა ჯერ კიდევ სავსებით არ გადაქცეულა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის საფუძვლად. მაგალითად, ქიმიურ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი გასული წლის მთელ რიგ საგნებში მუშაობდა საწარმოო გეგმისა და პროგრამების გარეშე. სწავლობს მრავალსაგნობრიობა და არ არის დაცული საგნების გავლის თანამიმდევრობა: მოქმედი, სასწავლო გეგმები და პროგრამები ვერ უზრუნველყოფენ საერთო მეცნიერულ და სპეციალურ ცოდნათა ზუსტად მოხაზული წრის შეთვისებას ვერ უზრუნველყოფენ მეცნიერული თეორიული მომზადების ხელმძღვანელ როლს, ხშირად აძლევენ რა უპირატესობას საწარმოო პრაქტიკას. სასწავლო პროგრამებში არ შედის მთელი სასწავლო პროცესი, განსაკუთრებით საწარმოო პრაქტიკა და ლაბორატორიული მეცადინეობა. ხშირად ცალკე დისციპლინების პროგრამებში არ არის ასახული მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევები და უდიდეს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და კოლმეურნეობების გამოცდილება.

ამ დეფექტების გამოსწორებისა და სოციალისტურ კადრების საერთო თეორიული და სპეციალური მომზადების დონის, ამაღლების მიზნით საჭიროა უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების და ტექნიკუმების სასწავლო გეგმების და პროგრამების გარდაქმნა საკავშირო ცაკის მითითებებთან შეფარდებით და 1933 წლიდან მათი გადაყვანა ახალ პროგრამებსა, და სასწავლო გეგმებზე.

ახალმა სასწავლო გეგმებმა და პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ თეორიული სწავლების მჭიდრო კავშირი პრაქტიკასთან. ისინი უნდა შეიცავდნენ მთელ სასწავლო პროცესს, რომელშიაც შედის აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის გავლა საწარმოებში და სახელოსნოებში და ლაბორატორიული მუშაობა. სასწავლო გეგმებში გამოყოფილ უნდა იქნან აქა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლისა, და ტექნიკუმისათვის მთავარი დისციპლინები. სპეციალურ დისციპლინებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების სწავლებას, რომელიც მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ახალ სპეციალისტების მეცნიერულ - თეორიული მომზადების შემდგომი გადიდების ამოცანასთან დაკავშირებით, საკავშირო ცაკის დადგენილება აწესებს სწავლების გადიდებულ ვადებს (უმაღლეს სასწავლებლების და ტექნიკუმების ძირითად ნაწილისათვის). დაწესებულია სპეციალურ საგნების სწავლება, მეორე და მესამე კურსიდან, იმისდამიხედვით, თუ როგორია სწავლების ვადა.

განსაკუთრებული ყურადღება, უნდა მიექცეს ცაკის მიერ ახალ სპეციალისტთა პროფილების შესახებ მოცემულ მითითებების შესრულებას; თბილისის უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ადგილი აქვს სპეციალობათა გადამეტებით დანაწილებას; ზოგიერთ ჩვენს ინსტიტუტს, როგორიცაა ამიერ - კავკასიის გზათა საინჟინრო ინსტიტუტი, სამთო - მეტალურგიული, ქიმიური, სასოფლო - სამეურნეო, ეკონომიური და სხვ. ინსტიტუტები, აქვს 16-მდე სხვადასხვა სპეციალობა, რის შედეგად ისინი უშვებენ მეტად ვიწრო სპეციალობის კადრებს მეცნიერული და სპეციალური მომზადების დაბალი დონით. ამ კადრების პრაქტიკულად გამოყენება ხშირად, სრულიად შეუძლებელი ხდება.

საბჭოთა კავშირის ცაკი 19 სექტემბრის დადგენილებაში მოითხოვს სპეციალობათა შემცირებას და დაზუსტებას და უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მკაფიო პროფილების დაწესებას, სახალხო მეურნეობის სათანადო დარგის განვითარების პერსპექტივების და სპეციალისტთა საერთო-მეცნიერულ და საერთო-ტექნიკურ მომზადების აუცილებლობის მტკიცედ გათვალისწინებით. ამის მიხედვით, სახალხო კომისარიატებმა 1933 წლის პირველ იანვრამდე უნდა გადაათვალიერონ სპეციალობათა პროფილები, ჩაატარონ ზედმეტ პროფილების საფუძვლიანი შემცირება, უნდა ჩააბან ამ მუშაობაში სამეცნიერო მუშაკები და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. პროფილების გადათვალიერებასთან და დანაწილებულ სპეციალობათა მაქსიმალური შემცირების გატარებასთან. დაკავშირებით, ისმება ზოგიერთი, ინსტიტუტის და ტექნიკუმის გამსხვილების პრობლემა. ამჟამად თბილისში და საქართველოში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი წვრილი ინსტიტუტები, რომელნიც არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო მატერიალურ - მეცნიერული ბაზით და პროფესორთა და მასწავლებელთა კადრებით. მაგალითისთვის დავასახელებთ შემდეგ ინსტიტუტებს—საბჭოთა მშენებლობის და უფლების ინსტიტუტი, რომელშიაც ირიცხება 365 სტუდენტი, ამიერ - კავკასიის საგზაო ინსტიტუტი—408 სტუდენტი, ახალ სართავ კულტურების ინსტიტუტი — 368 სტუდენტი, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი სამხრეთის ინსტიტუტი — 382 სტუდენტი. აღნიშნულ ინსტიტუტებს არა აქვთ თავიანთი შენობები, მოწყობილობა, არ ყავთ სამეცნიერო მუშაკთა საკმაო კადრი და, ამიტომ მათი დამოუკიდებელი არსებობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ახალი სართავი კულტურების და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლ სამხრეთის ინსტიტუტის ლიკვიდაცია, რომელთა ბაზაზე საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტთან უნდა მოეწყოს სათანადო ფაკულტეტები. მიზანშეწონილია აგრეთვე ამიერ - კავკასიის გზათა საინჟინრო ინსტიტუტის და საგზაო ინსტიტუტის ბაზაზე თბილისის სატრანსპორტო ინსტიტუტის შექმნა და ქიმიურ - ტექნოლოგიური და სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტების გაერთიანება მთლიან სამთო-ქიმიურ ინსტიტუტში.

განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკა გადაიქცა ყველა უმაღლეს სასწავლებლების და ტექნიკუმების სასწავლო მუშაობის სავალდებულო ელემენტად, რაც, ეჭვს გარეშე, ჩვენი უმაღლესი და საშუალო პროფტექნიკური სკოლის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

მაგრამ ამ მიღწევასთან ერთად საწარმოო პრაქტიკის გატარებას სერიოზული გარღვევა აქვს. ეს გარღვევა გამოიხატა იმაში, რომ თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში საწარმოო პრაქტიკა აღიარებულ იქნა გამძლოლ ფორმად; სტუდენტების საერთო მეცნიერულ და სპეციალურ მომზადების საზიანოდ. სტუდენტები პრაქტიკაზე, ხშირად იგზავნებოდენ ყოველგვარი წინასწარი თეორიული მომზადების გარეშე (საექიმო ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვ.), პრაქტიკას გადიოდენ უპროგრამოთ და უგეგმოთ (ქიმიურ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი) შემთხვევით სამუშაოებზე და სტუდენტის სპეციალობასთან სრულებით დაუკავშირებლად. უმაღლეს სასწავლებლებსა და, ტექნიკუმების მხრით პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტები არ სარგებლობდენ არავითარი სასწავლო მეთოდიური ხელმძღვანელობით, კერძოდ საწარმოო პრაქტიკის დაყენებაში უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების კათედრები არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ; პრაქტიკანტებს მეტწილად მხოლოდ საწარმოთა ადმინისტრაცია უწევდა ხელმძღვანელობას; როგორც წესი, საწარმოებში პრაქტიკა ტარდებოდა ინსტიტუტის პირველი კურსიდან და თითქმის სასწავლო დროის ნახევარი ეჭირა.

საჭიროა მივაღწიოთ ამ დამახინჯებების სრულ ლიკვიდაციას და უზრუნველვყოთ საწარმოო პრაქტიკის იმგვარად დაყენება, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს სწავლების შემადგენელ ნაწილს, როგორც წესი, საწარმოო პრაქტიკა უნდა ხორციელდებოდეს მესამე კურსიდან უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლებისათვის ოთხ და ხუთ წლიანი სწავლების ვადით და მეორე კურსიდან დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებისა, და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებისათვის; პირველი ორი კურსის სტუდენტები კი საერთო პრაქტიკას უნდა გადიოდენ სასწავლებლის სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში.

საჭიროა, რომ უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები უზრუნველყოფილ იქნან განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის მუდმივი ბაზით, რისთვისაც მათზე უნდა მივამაგროთ ცალკე საწარმოები. სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტებისა და ტექნიკუმებისათვის სავალდებულოდ უნდა იქნეს (ცნობილი საკუთარი სასწავლო მეურნეობების შექმნა მათთვის წვრილი საბჭოთა მეურნეობების გადაცემის და მცირე სასწავლო მეურნეობების მოწყობის გზით. პრაქტიკის გავლა უნდა ხდებოდეს სათანადო უმაღლეს სასწავლებლების და, ტექნიკუმების პროგრამებით მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით. საწარმოო პრაქტიკის სასწავლო მეთოდიური ნაწილისათვის ხელმძღვანელობა ეკისრება ინსტიტუტებს მთლიანად და კათედრების გამგეებს და სათანადო დისციპლინების მასწავლებლებს, ხოლო პრაქტიკულ საწარმოო ტექნიკური ნაწილისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს დირექტორს და ამ საქმისათვის გამოყოფილ პასუხისმგებელ სპეციალისტს. განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის განხორციელება თვალსაჩინოდ გაადვილებულია ცაკის დადგენილებით, რომელიც 1932 წლის პირველ იანვრიდან აწესებს სტიპენდიების მიცემას ყველა სტუდენტებისათვის განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის დროისაც.

.. ბედია.

(დასასრული იქნება).

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობა დამთავრდა

კიდევ უფრო მეტი ენერგიით განვაგრძოთ ბრძოლა საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი გაშლისათვის

უკანასკნელი დღე

გუშინდელი დღე თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობის უკანასკნელი დღე იყო. მიუხედავად ამისა, ბაზრებზე ვაჭრობა მაინც წარმატებით მიმდინარეობდა ისევ გაჩაღებული იყო ვაჭრობა პროდუქტების კარვებთან, საკოლმეურნეო ფარდულებთან, სამრეწველო საქონლის მაღაზიებთან.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობა, ოფიციალურათ გუშინ დამთავრდა. მაგრამ ბაზრები არ შეჰკვეცავენ თავიანთი მოქმედების ფარგლებს და კვლავ მიიღებენ რაიონებიდან ჩამოსულ კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მეურნეებს. გაშენებული კარვები და ფარდულები კვლავ საკოლმეურნეო ვაჭრობის განკარგულებაში რჩება.

ბაზრობის დამთავრება მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ აღარ იწარმოებს ბაზრებზე შემოტანილი პროდუქტების აღრიცხვა და ამასთან დაკავშირებით სამრეწველო საქონლის გეგმიანათ გაცემა. ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლით მაღაზიები მომავალშიაც იქნებიან უზრუნველყოფილი. გარდა ამისა აღარ იწარმოებს რაიონების გეგმიანად გამოსვლა ცალკე ბაზრებზე. დღეიდან ვისაც სად ურჩევნია იმ ბაზრებზე გამოვა და იქ გაასაღებს თავის პროდუქტებს.

იმ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მეურნეებს, რომლებმაც გუშინ დაიწყეს ვაჭრობა და ბაზრობის დახურვამდე ვერ მოასწრეს საჭირო სამრეწველო საქონლის შეძენა უფლება აქვთ მიიღონ მათთვის საჭირო საქონელი ორი დღის განმავლობაში, რისთვისაც ყველა საბაზრო მაღაზიები ღია იქნება მთელი დღის განმავლობაში.

ბაზრობის უკანასკნელ დღეს ახალ ბაზარზე შემოზიდულ იქნა დიდძალი რაოდენობის პროდუქტები. ბაზარზე გამოსულთა შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობდნენ — ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობები და ადგილობრივი რაიკოოპკავშირი, რომელმაც ბაზარზე გამოიტანა 10.880 მანეთის—ქათამი, კვერცხი, ყველი და სხ. პროდუქტები.

ამ დღეს მომზადებულნი გამოვიდნენ აგრეთვე კასპის რაიონი. კასპის რაიონმა გამოიტანა — კომბოსტო, კარტოფილი, ხახვი, ლობიო, ხორცი, და სხვა ბოსტნეული. ჩოხატაურის რაიონმა კი გამოიტანა — კაკალი, ხილეულობა, ერბო-კარაქი, თხილი და გამოიყვანა 52 სული პირუტყვი.

დანარჩენ ბაზრებთან შედარებით, ახალ ბაზარზე გუშინ პროდუქტებზე მოთხოვნილება დიდი იყო.

დესიმონოვის ბაზარზე ვაჭრობა წარმატებით სწარმოებდა. ის პროდუქტები, რაც შედარებით უფრო მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა ახალ ბაზარზე, აქ ბლომათ იყო. ყველი, ერბო, კარაქი, კარტოფილი, და სხვ. დესიმონოვის ბაზარზე იყიდებოდა გაცილებით უფრო იაფ ფასებში, ვიდრე ახალ ბაზარზე.

გაჩაღებული ვაჭრობა სწარმოებდა აგრეთვე ავჭალის ბაზარზე, სადაც პროდუქტებზე ფასები საგრძნობლად დაბალი იყო. ავჭალის ბაზარზე დანარჩენ დღეებთან შედარებით, 25 ოქტომბერს ნაკლები რაოდენობის პროდუქტები გამოვიდა.

ბაზრობის კომიტეტის მიერ შეჯამებული წინასწარი ცნობების თანახმად საკოლმეურნეო ბაზრობის განმავლობაში **გასაღებულია დაახლოებით 16 მილიონი მანეთის სახ.-სამ. პროდუქტები და 5.500.000 მან. სამრეწველო საქონელი.**

გუშინ ჩამოვიდა ლანჩხუთის რაიონი

ბაზრობის უკანასკნელ დღეს ბაზარზე გამოვიდა ლანჩხუთის რაიონის 35 კოლმეურნეობა და რამოდენიმე ინდივიდუალური მეურნე.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა ბაზრობაზე შემოიყვანეს 137 სული რქოსანი საქონელი, 1.000-მდე ფრთა ფრინველი და შემოიტანეს 230 კუბ. საჟენი შეშა, 480 კილოგრამი ყველი, 6.830 ცალი კვერცხი, 6.720 კილოგრამი ხილეულობა, 77 ფუთი კაკალი და 80 ფუთი თხილი.

გარდა ამისა ლანჩხუთელმა კოლმეურნეებმა გამოიტანეს 2.620 ცალი ჭილოფი, რაზედაც ბაზარზე მეტად დიდი მოთხოვნილებაა.

სულ ლანჩხუთის რაიონმა ბაზარზე გამოიტანა 74 ვაგონი პროდუქტები, რომელთა ღირებულებაც უდრის **168.000 მანეთს.** რკინის გზის მიერ ვაგონების მიუწოდებლობის გამო, კოლმეურნეობებმა ადგილობრივ დასტოვეს 23 ვაგონი პროდუქტები, რაც ბაზრობაზე უნდა ყოფილიყო ჩამოტანილი.

კოლმეურნეობებს ბაზრობაზე ხელმძღვანელობენ რაიკოლმეურნკავშირის წარმომადგენელი ამხ. ა. სხვაია და რაიაღმასკომიდან ამხ. ანდრო თოდრია, მათი ინიციატივით კოლმეურნეობებმა სოციალისტური შეჯიბრება გამართეს რაიკოოპკავშირთან პროდუქტების უფრო დაბალ ფასებში გაყიდვაზე.

საღამოისთვის ლანჩხუთის რაიონმა უკვე მთლიანად გაასაღა ჩამოტანილი პროდუქტები.

ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეები ბაზრობაზე

ყუბანიდან თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე ჩამოვიდნენ ქართველ მეჯოგეთა კოლმეურნეობის წევრები, რომლებმაც ჩამოიყვანეს 60 სული მსხვილფეხა და 200 წვრილფეხა საქონელი და ჩამოიტანეს 42 ცენტ. ყველი.

კოლმეურნეები 17 ოქტომბერს ჩამოვიდნენ ქ. სოხუმში, მეორე დღეს ისინი იყვნენ სადგ. გალში. გამოცდილი მეჯოგეების წყალობით საქონელი ჩამოყვანილია უკლებლივ.

— გავიგეთ თუ არა, რომ თბილისში დიდი საკოლმეურნეო ბაზრობა ეწყობა,—განაცხადეს კოლექტივის ხელმძღვანელებმა—მოვიწვიეთ ბრიგადირების და აქტივის თათბირი და გადავწყვიტეთ ბაზრობაზე მიგველო მონაწილეობა. ეს ჩვენთვისაც საჭირო იყო, რადგან საქართველოში ჩვენ ჯერ კარგად არ გვიცნობენ, თუმცა მჭიდრო კავშირი გვაქვს, როგორც ჩვენი სოფლის საბჭოსთან (წალენჯიხის რაიონი), ისე საქართველოს კოლმეურნცენტრთან.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ განზრახვის შესასრულებლად, ყოველმხრივ ხელი შეგვიწყო. ჩვენ მათთან ყველა საკონტრაქტაციო პირობები გადაჭარბებით გვაქვს შესრულებული. მაგ. ჩაბარებული გვაქვს 550 ცენტ. ხორცი, 213 ცენტ. ყველი (სულგუნი) და 41 ცენტ. მატყლი. მატყლის წამოღება თბილისშიდაც გვინდოდა, მაგრამ ცხვარის გაპარსვა დაგვიგვიანდა.

— ჩვენი სუსტი მხარე—არასათანადო მომარაგებაა,—ლაპარაკობს ამხ. დიმიტრი გაბედავა (გამგეობის წევრი)—მარტო ძაღლი გვყავს 60 სული. ისინი პურს არ ჭამენ, რის გამოც ღომით ვკვებავთ, სიმინდი კი არა გვაქვს. მართალია საქართველოს კოლმეურნცენტრიდან ერთი ვაგონი სიმინდი მივიღეთ, მაგრამ ის არ გვყოფნის.

— დიდი ხანია დაარსდა თქვენი კოლექტივი?

— ჩვენი კოლექტივი ჩამოყალიბდა 1931 წელს. ამხ. მიხა გეტყვით ჩვენი კოლექტივის დაარსების შესახებ. მაგას მთელი ჩვენი ისტორია უბის წიგნაკში აქვს ჩაწერილი, მიმითითა ამხ. გაბედავამ უზ. სასამართლოს ყოფ. წევრზე და წელენჯიხის აღმასკომის თავმჯდომარეზე. ამხ. მიხა დავითის ძე კაკულიაზე. ის როგორც საქართველოს კოლმეურნცენტრის რწმუნებული მიმაგრებული ყოფილა ყუბანის კოლექტივზე და უმგზავრია მათთან ერთად.

საქართველოს ხელისუფლების დავალებით წალენჯიხის აღმასკომის ყოფ. თავმჯდომარე ამხ. მიხა კაკულია და იმავე რაიონის რაიკოლმეურნკავშირის თავმჯდომარე ამხ. ბაგრატი აფაქია გაგზავნილ ყოფილან 1931 წ. ჩრდილო-კავკასიაში იქ მობინადრე მეგრელ მეჯოგეების კოლექტივში გასაერთიანებლად. ხსენებულმა ამხანაგებმა მოახდინეს შეთანხმება ჩრდ. კავკასიის სამხარეო ხელისუფლებასთან, შემდეგ ყუბანის სარაიონო ორგანიზაციებთან და ჩამოაყალიბეს ქართველ მეჯოგეთა სტალინის სახ. კოლექტივი ლაბინსკაიაში. დღეს სტალინის კოლექტივში ითვლება 207 წევრი, რომელთაც ჰყავთ 10744 სული საქონელი, მათ შორის მსხვილფეხა—3984 და 6760 წვრილფეხა საქონელი. 1266 სული მეწველი ძროხა. კოლექტივს აგრეთვე ჰყავს 249 ცხენი და 60 ძაღლი.

ისინი ზაფხულში მთებში იმყოფებიან, ზამთარში ყუბანის ველებზე. არავითარი შენობები მათ არა აქვთ, მწყემსები ცხოვრობენ კარვებში და დროებითი ფაცხებში. ამის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან ზამთარში.

— ხშირად ძროხას კუდი მიეყინება მიწაზე და თბილი წყლით ვშველით—ამბობენ მწყემსები.

კოლმეურნეები ამზადებენ ყველს, რომელიც ახლა ჩრდილოეთ-კავკასიაში ცნობილია. მათ არ აქვთ კარაქის ქარხნები. განზრახულია მომავალში მოეწყოს ასეთი სამ ადგილას.

კოლექტივი თავისი საშუალებით ყოველ წელს საკმაოთაა მომარაგებული თივით. წელს იმდენი თივა დავამზადეთ, რომ სხვა კოლექტივებსაც დავეხმარებით—ამბობს ამხ. მიხა.

— მთელი წლის განმავლობაში კოლექტივიდან არც ერთი წევრი არ გასულა. კოლექტივის წევრები ყველა წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებიდან არიან, ბევრს ცოლშვილი აქა ჰყავს, კავშირი კი თავის სოფლებთან არა აქვთ გაწყვეტილი.

არტელის წევრებს შორის ბევრია წითელი პარტიზანელი. დენიკინმა 1918 წელში თითქმის მთელი საქონელი გაუწყვიტა მათ. მწყემსები გადარჩენილი ჯოგის მცირე ნაწილით შეეფარნენ მთას. მაშინ ხასაია და ძიკი ქარდავა თავისი ამხანაგებით გავიდნენ წითელ პარტიზანებად და მუსრს ავლებდნენ დენიკინის და ვრანგელის ნაწილებს.

ამიტომაც მათ აქ ძალიან პატივს სცემენ.

სტალინის სახ. მეჯოგეთა კოლექტივის წევრები დღეს უკვე თბილისში არიან საკოლმეურნეო ბაზრობაზე.

ალაზნელი.

რა ჩაიდინა საჯევახოს სადგურის უფროსმა

საჯევახოს სადგ. უფროსმა ამხ. ბ. ელენტმა, თავისი უხამსი და რკინისგზელისათვის შეუფერებელი საქციელით ჩირქი მოსცხო რკინის გზის უწყებას და პირველ რიგში თვით რკინისგზელ მუშებს. რაშია საქმე რა ჩაიდინა მან?

აი რა:

20 ოქტომბერს ჩოხატაურის რაიონის 18 კოლმეურნეობა ურმებით მოადგა სადგ. საჯევახოს, სადაც მათ უნდა დაეტვირთათ ვაგონები და პროდუქტები გადმოეგზავნათ ბაზრობაზე. ბიქტორ ელენტმა კოლმეურნეებს არ მისცა ვაგონები იმავე დღეს და შეპირდა, რომ ვაგონებს მისცემდა მეორე დღეს, თუ კოლმეურნეები წარმოადგენდნენ 3.500 მანეთს. რაიკოლმეურნკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პ. ჩიგოგიძე იძულებული შეიქნა, ასეთი თანხის გადახდის თავიდან ასაცილებლად პროდუქტები ფურგონით გადმოეზიდა, მაგრამ ელენტი არც ამაზე დათანხმდა და ჩიგოგიძე ნებართვის ასაღებათ გამოემგზავრა თბილისში.

მეორე დღეს ელენტმა ვაგონები გასცა და გამოირკვა, რომ 3.500 მანეთის მაგიერ საქმე ყოფილა 750 მანეთის გადახდა. ამგვარად ელენტმა კოლმეურნეობები დააგვიანა ერთი დღით.

როცა საქმე ვაგონების დატვირთვაზე მიდგა ელენტმა სადგურის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეების სახელით მოითხოვა:

— დაგვიტოვეთ იმ პროდუქტების ნაწილი, რომელიც თბილისში მიგაქვთ, თორემ, ისე არ დავტვირთავთ ვაგონებსო. ელენტმა უტიფრათ მოსთხოვა კოლმეურნეობებს ქრთამი და ისიც მუშების სახელით.

ქრთამი მან ვერ მიიღო, მაგრამ პროდუქტების ნაწილი კოლმეურნეობებს მაინც „დაეკარგათ" ამ სადგურზე.

ამის გამო ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობები ბაზრობაზე სავაჭროთ 22 ოქტომბრის მაგიერად, გამოვიდნენ 24 ოქტომბერს.

ბ. ელენტს უნდა მოეთხოვოს პასუხი ამ შეუფერებელი საქციელისათვის.

დ. ლ—ძე



სურათზე: 1. ინდაურით ბრუნდება სახლში. 2. ფარდული ახალ ბაზარში. 3. საქვაჭრობ"ს მაღაზიის საუკეთესო გამყიდველი ამხ. ჩიტაიშვილი. 4. იძენენ ჩექმებს

საშემოდგომო ხვნა-თესვა

მცხეთის და გორის რაიონებმა შეანელეს თესვის ტემპები

შემოდგომის თესვა 20 ოქტომბრისათვის

რაიონები	საბჭ. მეურნეობებში			კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში			სულ		
	გეგმა	შესრულება ჰექტ.	შესრულება % %	გეგმა	შესრულება ჰექტ.	შესრულება % %	გეგმა	შესრულება ჰექტ.	შესრულება % %
ახალქალაქის	500	—	—	650	350	53,8	1150	350	34,0
ახალციხის	—	—	—	5115	1557	30,4	5115	1557	30,4
ადიგენის	—	—	—	3300	840	25,4	3300	840	25,4
ტოლოშის	—	—	—	1300	1024	78,8	1300	1024	78,8
სტალინისის	561	365	65,1	21671	6391	29,5	22232	6756	30,4
გორის	69	34	49,3	18131	12275	67,7	18200	12309	67,3
კასპის	—	—	—	8630	2647	30,7	8630	2648	30,7
ბორჯომის	—	—	—	200	—	—	200	—	—
გურჯაანის	430	—	—	16020	463	2,9	16450	463	2,8
სიღნაღის	7175	2420	33,7	30536	17073	55,9	37711	19493	51,7
თელავის	504	40	7,9	18767	4358	23,2	19271	4391	22,6
ყვარელის	106	29	27,3	8408	86	1,0	8514	115	1,4
ლაგოდეხის	123	—	—	9520	422	4,4	9643	422	4,4
თბილისის	1508	685	45,4	12416	10106	81,4	13924	10791	77,5
ყარაიას	1452	305	21,0	1856	769	41,4	3308	1074	32,5
ბორჩალოს	270	72	26,7	13560	650	4,8	13830	722	5,2
ლიუქსემბურგის	—	—	—	6600	—	—	6600	—	—
დუშეთის	—	—	—	7500	4967	66,2	7500	4967	79,6
ალბ.-მანგლისის	230	—	—	14120	2894	20,5	14350	2894	20,2
გარე-კახეთის	572	145	25,3	10505	7042	67,0	11077	7187	64,9
მცხეთის	250	197	78,8	7571	5607	74,0	7821	5804	74,2
ბაშკიჩეთის	40	—	—	4000	3320	83,0	4040	3320	82,2
ერწო-თიანეთის	—	—	—	5000	3968	79,4	5000	3968	79,4
სამხრ.-ოსეთის	150	17	11,3	12500	2349	18,8	12650	2366	18,7
სულ აღმ. საქ.	13940	4310	30,9	237876	89158	37,5	251816	93468	37,1
ქუთაისის	506	150	29,6	747	267	35,7	1253	417	38,3
სამტრედიის	165	—	—	375	61	16,3	540	67	11,3
ხონის	—	4	—	215	40	18,6	215	44	20,4
ვანის	51	—	—	189	—	—	240	—	—
ზესტაფონის	—	—	—	15	—	—	15	—	—
ჭიათურის	20	—	—	3000	1896	63,2	3020	1896	62,8
ხარაგოულის	—	—	—	—	169	—	—	169	—
ონის	—	—	—	2400	293	12,2	2400	293	12,2
ამბროლაურის	—	—	—	4021	686	17,1	4021	686	17,1
ცაგერის	—	—	—	3000	1345	44,8	3000	1345	44,8
ჩოლურის	—	—	—	—	87	—	—	87	—
სენაკის	75	—	—	45	—	—	120	—	—
მარტვილის	55	—	—	—	—	—	55	—	—
ზუგდიდის	3	—	—	57	—	—	60	—	—
ხობის	3	—	—	—	—	—	3	—	—
ოზურგეთის	104	12	11,5	15	7	46,7	119	19	15,9
ლანჩხუთის	—	—	—	20	—	—	20	—	—
ზემო-სვანეთის	—	—	—	250	—	—	250	—	—
ფოთის	36	6	16,7	9	3	33,3	45	9	20,0
აფხაზეთის ს.ს.რ.	796	—	—	3987	—	—	4783	—	—
აჭარისტანის ს. ს. რ.	289	—	—	34	—	—	323	—	—
სულ დას. საქ.	2103	172	8,2	18379	4854	26,4	20482	5026	24,5
სულ რესპუბლიკაში	16043	4482	27,9	256255	94012	36,7	272298	98494	36,2

უკანასკნელ ხუთდღიურის განმავლობაში (15—20 ოქტ.) შემოდგომის კულტურები დაითესა სულ 26.592 ჰექტ. ნაცვლად წინა ხუთდღიურში დათესილ 16.000 ჰექტარისა, ე. ი. 10.592 ჰექტ. მეტი. ამრიგად 20 ოქტომბრისათვის დათესილი იყო სულ 98.492 ჰექტ. გეგმის 26,4 პროც. აქედან საბჭოთა მეურნეობებში—4.482 ჰექტ. გეგმის 27,9 პროც. კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში—94.012 ჰექტ. გეგმის 36.7 პროც.

გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წელს დათესილია 82.832 ჰექტარით მეტი.

ცალკე რაიონების მიხედვით თესვის ტემპები შესამჩნევად გააძლიერეს. სტალინისის, თბილისის და სიღნაღის რაიონებმა.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთმა რაიონებმა (მცხეთა, გარე-კახეთი, ერწო-თიანეთი, გორი) შეანელეს თესვის ტემპები. აღნიშნულ რაიონებში საანგარიშო ხუთდღიურში შედარებით ნაკლები დაითესა, ვიდრე წინა ხუთდღიურში.

როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან კახეთის რაიონები (გურჯაანი—2,8 პროც., ყვარელი—1,4 პროც., ლაგოდეხი—4,4 პროც., თელავი—22,6 პროც.), რაც აიხსნება რაიონული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობით და სახოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების მორიგეობის პრაქტიკით.

თესვის დამთავრებამდე დარჩენილია მხოლოდ 20—25 დღე. ამ ხნის განმავლობაში თესვის მაქსიმალური ტემპი ყოველ ხუთდღიურში განისაზღვრება 26.592 ჰექტარით, რაც მიღწეული იქნა მხოლოდ უკანასკნელ დროს.

ცალკე ხუთდღიურების მიხედვით თესვის ტემპები შემდეგ სურათს გვაძლევს: პირველ ხუთდღიურში საშემოდგომო კულტურები სულ დათესილი იყო 3.885 ჰექტ., მეორე ხუთდღიურში—4.145 ჰექტ., მესამე ხუთდღიურში 12.231 ჰექტ. მეოთხე—ხუთდღიურში—13,431 ჰექტ., მეხუთეში—22,217 ჰექტ., მეექვსეში—16.000 ჰექტ. და მეშვიდეში—26.592 ჰექტარზე.

მოყვანილი ცნობები მოწმობენ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა მაქსიმალურად გამოყენებული ყველა შესაძლებლობანი თესვისათვის. იმ დროს, როდესაც უკანასკნელ ხუთდღიურში 26.000 ჰექტარზე მეტი დაითესა—წინა ხუთდღიურებში ითესებოდა საშუალოდ 12—13 ათასი ჰექტ., ანუ მეშვიდე ხუთდღიურში მიღწეული ტემპის ნახევარზე ნაკლები. ადგილობრივ ორგანიზაციებს ეს გარემოება უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. მათ უნდა უზრუნველყონ თესვის კამპანია მტკიცე და კონკრეტული ხელმძღვანელობით

მიწსახკომის აღრიცხვის სექტორი.

მძრალად ხვნა და სათესლე ფონდების შეგროვება

მომავალი წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება ძირითადათ დამოკიდებულია მძრალად ხვნის გეგმების შესრულებაზე. ამიტომ მძრალად ხვნას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

გეგმით წელს შემოდგომაზე მძრალად ხვნა უნდა ჩატარდეს 90.678 ჰექტ., ფაქტიურად კი 20 ოქტომბრისათვის მოხნული იყო 21.617 ჰექტ., რაც გეგმის 23,8 პროცენტს შეადგენს. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში მოხნული იყო 87.125 ჰექტარიდან—20.722 ჰექტ. ანუ გეგმის 23,8 პრ.

მთავარი, რასაც ხაზი უნდა გაესვას არის ის, რომ კახეთის რაიონებში (გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, ყვარელი და ლაგოდეხი), რომლებიც მარცვლეული კულტურების ძირითად რაიონებათ ითვლებიან, დღემდე კიდევ არ არის დაწყებული მძრალად ხვნა. ამ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. აღნიშნული რაიონების პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნ. ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა გადასდგან პრაქტიკული ნაბიჯები ხვნის დასაწყებათ.

გარდა ამისა, მძრალად ხვნა 20 ოქტომბრისათვის დაწყებული არ ჰქონდათ: ლიუქსემბურგის, წალკის, დუშეთის და ალბ.-მანგლისის რაიონებს. ჩამორჩნენ: ბორჩალოს (0,8 პრ.), ყარაიას (16,3 პრ.), და გორის (15,6 პროც.) რაიონები. წინ მიდიან: სტალინისის (75,2 პროც.) და ახალციხის (65,5 პროც.) რაიონები.

საქ. მიწსახკომის ცნობის მიხედვით 20 ოქტომბრისათვის სულ შეგროვილი იყო გაზაფხულის და შემოდგომის ხორბლის და ქერის თესლი 7.268 ცენტნერის რაოდენობით—გეგმის 12,1 პროც., აქედან გაზაფხულის ხორბალი შეგროვილი იყო 809 ცენტ.—გეგმის 3,2 პროც., ქერი 6.459 ცენტნ.—გეგმის 18,4 პროც., შემოდგომის ხორბალი შეგროვილი იყო—62.921 ცენტ.—გეგმის 64,2 პროც. და ქერი 3.531 ცენ.—გეგმის 55,7 პროც. შემოდგომისა და გაზაფხულის სათესლე მასალების შეგროვების საქმეში საგრძნობლად ჩამორჩნენ: ბორჯომის (13,5 პროც.), ბაშკიჩეთის (13,9 პროც.) და გურჯაანის (35,7) რაიონები.

პასუხად ამხ. შანძლაძეს

მიმდინარე წლის 2 აპრილს საქართველოს კ. პ. (ბ) ცკას ბიურომ გამოიტანა დადგენილება იმ ღონისძიებათა გატარების შესახებ, რომელიც მიღებული იყო საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 4 თებერვლის (კოლმეურნეობათა ორგანიზაციული, სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება) და 26 მარტის (პირუტყვის იძულებით განსაზოგადოების აკრძალვა) დადგენილებათა განსახორციელებლად.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცკას ბიუროს 2 აპრ. დადგენილების გამოქვეყნების დროს („კომუნისტი" 8 აპრილი)მის ტექსტში დაშვებული იყო რედაქციის მიერ შეცდომა, რომელიც ამახინჯებს დადგენილების სათანადო მუხლის აზრს. გამოქვეყნებულ ტექსტში ნათქვამია: „სრულიად შეწყდეს იმ მიწების განსაზოგადოება, რომლებიც კარმიდამოს აკრავს". ნამდვილად კი უნდა ყოფილიყო ასე: „სრულიად შეწყდეს საკარმიდამო მიწების განსაზოგადოება."

ამ შეცდომის გასწორება მოვათავსეთ „კომუნისტი"-ს 12 აპრ. ნომერში. მიუხედავად ამისა, როგორც ეს თქვენი შეკითხვიდან სჩანს, აქა-იქ აღნიშნულ შეცდომის გასწორებას არ იღებენ მხედველობაში და საქ. კ. პ. (ბ) ცკას ღონისძიებათა გატარების დროს პრაქტიკოსნი ემყარებიან ამ დადგენილების ტექსტის იმ შეცდომას, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ.

საქ. კომპ. (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილება სავსებით სწორად მიუთითებს არა კარმიდამოზე მიკრულ, არამედ საკარმიდამო მიწების განსაზოგადოების სრულიად აკრძალვაზე. ამნაირად რჩება ძალაში რედაქციის ზემოხსენებული შეცდომის ის გასწორება, რომელიც გამოქვეყნებული იყო „კომუნისტი"-ს 12 აპრილის ნომერში.

„კომუნისტი"-ს რედაქცია.

„ჯვაროსნები"

— ამ ტაფობს მთელს ხეობაში,—ამბობს ჩემი თანამგზავრი,—თავისი საკურორტო თვისებებით მხოლოდ ლიბანი თუ შეედრება.

საუბარი სწარმოებს 1600 მეტრის სიმაღლეზე წვრწეტა ფიჭვების ჩრდილ ქვეშ. ოთხივე მხრიდან მთელი მიდამო დაცულია წიწვნარი მთებით. ფიჭვების ქოჩრებს არხევს მსუბუქი ნიავი, ჰაერი გაჟღენთილია ოზონით, „მოსცმია გარსა მიდამოს ნისლი ფიჭვ-ნაძვთა სუნისა". ზევით ლაჟვარდი და ციდან უხვად გადმოღვრილი სხივების ჩანჩქერი. დაბლად ჩვენს ქვემოდ მზის შუქზე ლაპლაპებს პატარა მდინარე, სიჩუმე და ხანდახან ძლივს გასაგონი ჩრიამული შეარხევს მყუდროებას. შორს—ჩვენს პირდაპირ უტყეო მწვანე გორაკებია, მათ გადაღმა ალბად ბიბინებენ ალპიური საძოვრები.

ასეთია გარემო, რომელიც ჩვენ გვარტყია, რომელსაც შესწევს ძალა განკურნოს დაავადებული, ძალღონე დაუბრუნოს დაუძლურებულს დაამშვიდოს ნერვებ აფორიაქებული. მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ არის არც ერთი სანატორიუმი, არც ერთი დასასვენებელი სახლი; არის ერთი მერძეობის ფერმა, ხოლო ნახევარ კილომეტრს თუ გაივლი, წინ დაგვხვდება გათიბული მინდვრები, თივის ზვინები და მჭიდრო მოსახლეობა.

ეს არის ერთ-ერთი უმაღლესი სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ასეთ მაღლობ მდებარეობის მცხოვრებთ შეეფერება, გლეხობა მისდევს მესაქონლეობას,—აწარმოებს რძეს, კარაქს, ხორცს—მოსახლეთა ერთი მესამედი გაერთიანებულია კოლმეურნეობაში.

სოფლის შუაგულში ამოზურცულია გრანიტის კლდე, კლდეზე ციხეა საყდრით დაშენებული, საყდარი გაუქმებულია, მაგრამ ეს ციხე ჯვრით, როგორც რუდიმენტი, მაინც შერჩენია განახლებულ სოფელს. რა თქმა უნდა, ციხეზე ჯვარი მოხსნილია, მაგრამ ჯვრის ძალა, ჯვრის მოციქულთა და ჯვაროსან კულაკობის გავლენა ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის, და ეს უხილავი, ჩამორჩენილ გლეხთა შეგნებაში დამკვიდრებული ჯვარი ხან ფარულ ხან აშკარა, ხან პასიურ, ხან კიდევ აქტიურ წინააღმდეგობას უწევს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას.

ბუნების წარმტაც ფონზე, მის დამამშვიდებელ მყუდროებაში სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, სწარმოებს ბრძოლა ჯვარის სეპარატორთან, რომელიც ამ შემთხვევაში გამოდგება აქ არსებულ საბჭოთა ფერმის ემბლემათ.

იყო დრო—ეს ფერმა ეკუთვნოდა დიდ მთავარს მიხეილ რომანოვს, გლეხობის ექსპლოატაცია, მათი ნამუშევარის, საძოვარ სათიბების მითვისება—აი წყარო, რომელიც ასაზრდოებდა და ამაგრებდა საუფლისწულო ფერმას. წამლეჯაობით, ტაციობით წარსულში იგი მაგალითს აძლევდა გლეხობას, ამკვიდრებდა მათ შეგნებაში პრინციპს, რომლის ძალით „ან შენ უნდა სძარცვავდე სხვას, ან სხვა უნდა გძარცვავდეს შენ" (ლენინი).

და რადგან გლეხობას ხელი არ მიუწვდებოდა საუფლისწულო მამულამდე, გაძარცულიც მუდამ იგი რჩებოდა. ძარცვა-ლეჯის პრინციპის დამცველად—მაშასადამე საუფლისწულო ქონების ქომაგად და მოკავშირედ გამოდიოდა ჯვარი, კულაკი, რომელიც ასეთი მოსარჩლეობისათვის (ფერმის მოდარაჯეობისათვის) ჯილდოთ ღებულობდა ჯიშიან დეკეულებს, სახარე ხბოებს და საძოვარ სათიბებით სარგებლობის უფლებას.

ასე იყო 15 წლის წინათ. მას შემდეგ მდგომარეობა შეტრიალდა. საუფლისწულო მამული გადაიქცა სახალხო ქონებათ,—დიდმთავრის ფერმა გადაკეთდა საბჭოთა მეურნეობათ. მას დაეკისრა საპატიო ამოცანა—შეიტანოს ჩამორჩენილ გლეხობაში მეურნეობის წარმოების კულტურული წესები, დანერგოს მასში შრომის სოციალისტური ფორმები, გააღვივოს შეგნებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი ქონებისადმი, აღკვეთოს გლეხთა შეგნებაში ბრმა ნაწლავეული მავნე შეხედულება — თითქოს ამ ქვეყნად შეუძლებელი იყოს არსებობა ერთი მეორის ძარცვის გარეშე.

შეიცვალა არა მარტო ფერმის დანიშნულება, არამედ ჯვარისა და კულაკის როლიც. თუ წინად ისინი გამოდიოდნენ საუფლისწულო მამულის დამცველებად, ახლა გვევლინებიან საბჭოთა ფერმის—საზოგადოებრივი ქონების მოსისხლე მტრებად, რომელთაც მოკავშირეთა ჰყავს გლეხობის ჩამორჩენილი ფენის შეუგნებლობა და უვიცობა.

როგორ ებრძვის ამ მტრებს საბჭოთა ფერმა? მოეპოვება თუ არა მას ბასრი იარაღი, მახვილი ლანცეტი, რომლითაც უნდა ამოიჭრას ჯვრისაგან ნაკურთხი წვრილ მესაკუთრული განწყობილების ნაშთი.

ფერმას ყველაფერი აქვს, რომ ნამდვილად გახდეს კოლმეურნეთა და ღარიბ საშუალო გლეხთა მასებში მეურნეობის წარმოების კულტურული წესების, ახალ ჩვევების, შრომის ახალი ფორმების გამავრცელებელ კერად, მაგრამ აკლია ხელმძღვანელობა, არ ყავს ხელმძღვანელთა კადრი, რომელსაც შეეძლოს ფერმის მდიდარ შესაძლებლობათა გამოყენება.

დიდი ხანი არ არის, რაც ფერმაში მოუწყვიათ სამი ჩინებული ბოსელი, ავტომატიური სარწყულებლებით, საკვების მისაწოდებელი და ნაკელის გამოსახვეტი მექანიზმებით, მაგრამ რათ გინდათ ამერიკულად მორთული ამდენი სადგომი, თუ არ გეყოლებათ ჯიშიან ძროხების საკმაო ჯოგი და არსებულ ჯოგიდანაც ერთი მეოთხედზე მეტი იქნება ჩამომავალი იმ ბიბლიური ძროხებისა, რომლებიც ვითომ ყველაფერს ნთქავდენ, მაგრამ მაინც მჭლედ და უნაყოფოდ რჩებოდენ?

— საიდან გაჩნდნენ აქ სანიმუშო ფერმაში ეს უჯიშონი?

— ეს კულაკობისაგან შემოტანილი „წვლილია",—მეუბნება დირექტორის მოადგილე. როცა მიმდინარეობდა ძროხების შეგროვება მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების შესავსებათ. კულაკებმა მოახერხეს თავიანთი მაღალ პროდუქტიული საქონლის გადაცვლა უჯიშო ძროხებზე და გადააბარეს ეს უკანასკნელნი დამამზადებელ ორგანიზაციებს. ამათ კი ფერმებს უფეშქაშეს.

— განა აუცილებელი იყო მათი დატოვება, ან რამდენად ხელსაყრელია მათი შენახვა?

— რა თქმა უნდა, არ არის ხელსაყრელი, მაგრამ ვიდრე მათი შემცვლელი არა გვყავს, ესენი უნდა შევინახოთ.

— ჰფიქრობთ კი მათ შეცვლას ჯიშიან მეწველ ძროხებით?

— ბარემ ვფიქრობთ, მაგრამ ჯერ საჭირო თანხა არა გვაქვს, და კიდეც რომ გვქონდეს, შეძენა ძნელია, არ იშოვება.

ამ დიალოგს შემდეგაც ჩემთვის გაუგებარი დარჩა, რა მოსაზრებით სურთ იკვებონ ძროხები, რომლებზედაც იხარჯება მათ ღირებულებაზე მეტი; ძროხები, რომელთა ნაწველი არა თუ გადასამუშავებლად არ მიდის, არამედ არ ჰყოფნის გამოსაკვებად მათ საკუთარ ხბოებს, ძროხები, რომლებიც არცხვენენ და სახელს უტეხენ სანიმუშო ფერმას.

ფერმას ისედაც არ ჰყოფნის საკვები მაღალ პროდუქტიული შვეიცარულ და ხევსურელი ძროხებისათვის.

სწორედ ამ საკვების მარაგის გასადიდებლად, მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად ფერმას აუგია ორი 25 ტონიანი ნახევარკოშკი და ერთიც 300 ტონიანი ვეებერთელა სასილოსე კოშკი, რომელიც ბაბილონის გოდოლივით თავს დაჰყურებს ბოსლებს და ფერმის ყველა შენობებს.

მაგრამ რა მაქნისია ეს უზარმაზარი კოშკი, რომლის მსგავსი თურმე არ არის ამიერ-კავკასიაში, თუ არაფერი აქვს ჩასასილოსებელი?

ფერმას სასილოსე წელს არა გააჩნია. ფერმის ფარგალში როგორც ქაჩლის თავზე თმის ღეროებს, აქა იქ თვალს მოჰკრავთ დაუპატრონებელ მცენარეს: სიმინდი არ ამოსულა, რადგან დაუთესიათ წამხდარი თესლი. მოუვლელობით და გაუთოხნაობით გაფუჭებულია აგრეთვე ჭარხალი, სტაფილო, და კულ. ბალახი, რომელსაც ვერც კი გამოიცნობთ სარეველაა, თუ სასარგებლო მცენარე.

სხვა რაიმე ფერმის მიდამოში არაფერი სჩანს, გარდა ნაკელისა და ბალახ-ბულახისა, რომელიც მგონი, დასასილოსებლად არ გამოდგება და რომ გამოდგეს კიდეც, შუამდე ვერ მოჰყრის ამ ვეებერთელა კოშკს.

ცხადია, ამ ზამთრისათვის ფერმას კონცენტრიული საკვები ნაკლებად ექნება, მაგრამ საკონპენსაციო, შესაძლოა, იგი უხვად ამარაგებდეს თივას ან სხვა უხეშ საკვებს?

სამწუხაროდ ეს ასე არ არის. გვიან გათიბვის გამო მრავალი ნოყიერი ბალახი უნაყოფოდ დაიკარგა, დაზვინული თივები ნაწილი სოფლის ნახირმა შესჭამა, ნაწილი მწყემსმა ბავშვებმა გაიტაცეს, ნაწილი წვიმამ დაალპო. შესანახი მცირეღა დარჩა.

— მაშ ვისი და რისი იმედი აქვს ციხის ჯვრის ფერმას?

— ალბად ბორჯომის საბჭოთა მეურნეობის, რომელსაც მთავრობის დადგენილებით, უნდა შეუერთდეს ციხის ჯვრის ფერმა.

ეს, მოსალოდნელი გაჭირვებისაგან იხსნის მას, მაგრამ საჭირო იყო თუ არა მეტი თადარიგი საკუთარი საკვები ბაზის უზრუნველსაყოფად.

ფერმას, განსაკუთრებით ზაფხულობით დიდძალი მნახველი ჰყავს. მეტ ნაწილს ამძრავებს მხოლოდ ერთი უანგარო სურვილი—დაათვალიეროს ფერმა, მაგრამ არიან სტუმრები, რომლებიც მოდიან აქ „მიწიერი" მოთხოვნილებით; საკურორტო და სამიწათმოქმედო ორგანოებისაგან ისინი აღჭურვილი არიან სათანადო ბარათით დირექტორის სახელზე („მიეცით ამის წარმომდგენს ფასად ამდენი და ამდენი კილო კარაქი"). რასაკვირველია, მნახველთა ამ კატეგორიას ფერმის სხვა საწარმოთა შორის ყველაზე მეტად აინტერესებს საწარმო, სადაც მათ მიერ მიტანილ ბარათების რეალიზაცია უნდა მოხდეს. ამიტომ ისინი მიისწრაფვიან იქ წინასწარ დარწმუნებულნი, რომ ნახავენ ჯერ გადაუმუშავებელი ნაღებით და დოწნეხილი კარაქით სავსე ათეულ კასრებს, მაგრამ სუფთა გაკრიალებულ ცემენტის იატაკიან გრილ სახელოსნოში შესვლისთანავე იმედი უცრუვდებათ, ხედავენ მხოლოდ უქმად მდგარ სეპარატორებს, საწნეხებს, რძის გასაგრილებელ მექანიზმებს, ცარიელ კასრებს, სხვა მრავალგვარ ხელსაწყოს და დაკვირვებული თვალებით ეძებენ კარაქს.

— სად არის კარაქი?

მათი თვალების უსიტყვო შეკითხვაზე პასუხს იძლევა სამქროში მომუშავე ერთად ერთი მომუშავე ხელოსანი:

— ზაფხულობით ძროხების ჯოგი საძოვრებზეა. რძე იალაღებიდან აქ კი არ მოდის გადასამუშავებლად, არამედ იგზავნება სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ფერმაში დარჩენილ ძროხების ნაწველიდან აქ ვამზადებთ ყოველდღიურად მხოლოდ 4—5 კილო კარაქს.

— მერე ვის ხმარდება ეს კარაქი?

— ვის? რა საკითხავია! ვის არ უჭირავს თვალი მასზე,—ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს, სანატორიუმებს, ტურისტებს საპატიო სტუმრებს. მისი მუშტარი არ გვაკლია, გვაკლია მხოლოდ სასწაულ-მომქმედი, რომელსაც შეეძლოს 5 კილოგრამით დააკმაყოფილოს 5.000 მთხოვნელი.

ასეთი დიალოგით დარცხვენილი მნახველი იძულებული ხდება ხელი აიღოს თავის „მიწიერ" ზრახვებზე (თუ ასეთი ჰქონდა) და დაათვალიეროს მაგალითად საბუღე ბოსელი.

ბოსელში, როგორც საარტილერიო პარკში ვეებერთელა გაუბიცები, ორწყებად კამერებში ერთი მეორის შებრუნებით ჩამწკრივებულია 10 ბუღა, რომლებიც ახოვანებით, მოცულობით და წონით აფრიკულ ბიზონებს უფრო მოგაგონებენ, ვიდრე ჩვეულებრივ ბუღებს. მათთან მიახლოვება ისე საშიშია, როგორც გალიაში გამომწყვდეულ ნადირთან: არ ინდობენ არა თუ ადამიანებს, არამედ ერთმანეთსაც კი. ორი დღის წინათ ერთ მათგანს (მოსკვინს) აეგლიჯა და დასტაკებოდა ბაგეებზე მიბმულ თანამოძმეებს. ალბად ბუღები გახდებოდნენ მისი რქების წვერა, რომ ფერმის მთელი ძალების გაერთიანებულ იერიშს კუთხეში არ მიემწყვდია განრისხებული ნადირი.

ბუღები თვინიერი არიან მხოლოდ ერთი კაცის —თავიანთი მოვლელის მიმართ, უფრო მეტი: მომვლელთან ნამდვილი მეგობრული განწყობილება აქვთ და წინააღმდეგობის გაუწევლად ასრულებენ მის ბრძანებას.

მომვლელი მათთვის ყველაფერია— ეს აძლევს საკვებს, ზანს, ასუფთავებს ბაგასა და სადგომს, [illegible], დაატარებს სასეირნოდ. ბუღებიც მისი მადლიერი არიან. ამას წინად ერთ მათგანს უცდია კიდეც გამოეხატა თავისი გრძნობა: რქებით მიალერსებია თავის კეთილისმყოფელს მუცლის არეში, მაგრამ ეს მიალერსება ისეთი სიძლიერის ყოფილა, რომ საბრალო მომვლელს სიმწარისაგან ამირანის ხმით დაუყვირია.

— თუ ალერსი ასეთია, როგორი იქნება მათი წყრომა?

— ისეთი, რომ მტერსაც არ ვუსურვებ, ამბობს მომვლელი. ამას წინად გარეთ სასეირნოდ გამოყვანილი ბუღა, რომელსაც რქებში თოკ მობმულს დაატარებდენ ფერმის კარ-მიდამოში, ხელიდან დაუსხლტა მომვლელს, დაეტაკა მიმავალ მწყემსს და რქებით ერთი ამოკვრით ცაში ბურთივით შეატრიალა. ამაზე ადრე მეორე ბუღამ მუცელი გამოფატრა ახლად დანიშნულ მომვლელს, რომელსაც კარგად არ იყო შეჩვეული.

ბუნებრივია. თუ ასეთ ფათერაკს შემდეგ ბუღებს განსაკუთრებული სიფრთხილით და მორიდებით ეკიდებიან. ზაფხულობით ბუღები იალაღებზე არ დაჰყავთ, რადგან სახიფათოა მათი თავისუფლად გაშვება (ავარებელ პირუტყვს დაამარცხებენ და თვითონაც მთლად გაველურდებიან) ამიტომ მუდამ ბოსელში ყოფით, რომ არ დაუძლურდნენ, ყოველდღიურად დრო გამოშვებით დაატარებენ სუფთა ჰაერზე. გამოჰყავთ სათითაოდ ცალ-ცალკე, ყოველ მათგანს ცხვირის ნესტოში პაპუასივით რკინის რგოლი აქვს გაყრილი, რგოლზე მიბმული თოკი მოვლელს უჭირავს და ისე დაატარებს.

სხვაგვარად, — მხოლოდ რქებზე თოკმობმულ ბუღას თავს თვით აქილევსიც კი ვერ შეუკავებს მაგრამ ასეთ მდგომარეობაშიაც არ არის დაცული ეზოში მყოფ სულდგმულთა უშიშროება. მზის სინათლეზე გამოყვანილი ბუღა თვალებს საზარლად აბრიალებს, განზე მიიწევს, აქეთ-იქით იყურება, ეძებს მოწინააღმდეგეს, რომ ადამიანთა მოდგმაზე იძიოს თავის ესპანელ თანამოძმეთა სისხლი, მაგრამ, ვინაიდან ტორეადორთა არც ძალღონე, არც ოსტატობა, და არც სურვილი არავის მოეპოვება მთელი კარმიდამო რამოდენიმე წუთის რჩება ბუღას, როგორც გამარჯვებულს ცირკის მოედანი: არავინ არის, რომ მეტხარე ტაშით დააჯილდოვოს არა ეს ომგადაუხდელი უმეტოქეო ჩემპიონი, არამედ მისი მომვლელი, რომელიც თვალის ჩინივით უფრთხილდება, აპატივებს, და უვლის ამ გათამამებულ, ხორცით და სისხლით სავსე ნებიერებს.

ეს გამრჯელი დაუზარელი მუშაკი მთელი დღე თავს დასტრიალებს ბუღებს, რომელნიც მისი გარჯის წყალობით ფერმის სიამაყეს წარმოადგენენ; რომელთა ბადალი მეურნეობას არ გააჩნია რა.

იქვე ბოსლის მახლობლად მიყუდებულია აბრა. აბრის ერთ მხარეზე გამოხატულია ძროხა, მეორე მხარეზე ბუღა, ოდესღაც ეს აბრა ფერმის ალაყაფზე ყოფილა გაკრული. იგი ფერმის ღერბად გამოდგებოდა, რომ ძროხები ჯიშისა და მოვლის მხრივ გათანაბრებული იყვნენ ბუღებთან. ახლა კი აბრა სინამდვილეს ვერ გამოხატავს, რადგან დღევანდელი სახით ციხის-ჯვრის საბჭოთა მეურნეობა ბუღების საჯიშე უფროა, ვიდრე მერძეობის სანიმუშო ფერმა. შეიძლება, ამიტომაც ჩამოხსნეს იგი ალაყაფს.

„ოთხი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან", — იგულისხმება ერთი ძროხა და მისი ოთხი რწყეული ძუძუ წველის პროცესში. მაგრამ ბოსელში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით ოთხი კი არა, ორას ორმოცი მომღერალია, რომელთაგან ამ წუთში ორას ოცი სდუმს და მხოლოდ ათი რწყველი ხმა შეწყობილად მიიმღერის პრტყელ გვერდებიან ვედროები, რომლებიც წვიმებს შუა ამოღებული აქვთ მუხლი მოკეცილ მწველელებს, ისინი ტოლნიც არ არიან, რადგან ზოგი მათგანი გამომშრალია შვეიცარული ძროხის ვეებერთელა ჯიქნებზე, ზოგიც ხევსურული ძროხის ზოგიც ადგილობრივ შერეულ ძროხის მიმქნარ ჯიქნებზე ამიტომ სხვადასხვა გვარია მათი სიდიდე და ბგერაც, რომელსაც ისინი გამოსცემენ. ამ არაჩვეულებრივ კონცერტს ყურდაცქვეტილი ისმენენ იქვე ძროხის გვერდით გამოცალკევებულ ბაგებში მოთავსებული ხბოები, რომლებთაც იმდენათ დედის ძუძუების სიმფონია არ ხიბლავთ რამდენად მათგან გამოწველილი თბილი რძის მოლოდინი.

ხბოები მოუთმენლობისაგან ცქმუტავენ, მაგრამ ვიდრე რძე მათ ბაგამდე და ბაგამდე მიაღწევდეს, უნდა გაიწუროს, საგანგებო ჭურჭელში ჩაისხას და ასე მიერთვას ამ გასათუთებულ ოთხფეხა მომხმარებლებს, რომლებიც მხოლოდ ამ წესით იკვებებიან და, რომლებსაც სასტიკად აკრძალული აქვთ უშუალოდ დედის ჯიქნებთან მისვლა. ამით თუ იგებენ, თორემ არაფერს აგებენ ჩვენებური ძროხის ხბოები, რადგან მათ დედები დღიურად იმდენსაც ვერ იწველიან, რომ შვილების საჭიროება დააკმაყოფილონ. ბევრს მოიწველის თუ ცოტას, ხბოს საკვებ ნორმას ერთი გრამიც არ დააკლდება. თუ ძროხის მონაწველი ერთ გამოწველაზე ორ ლიტრს ვერ მიაღწევს, ხბოს კვება ამ ნორმამდე მაინც შევსება მონათესავე ძროხის ნაწველით და ერთ იჯრათ მიერთმევა მას. ხბოებს დღეში სამი იჯრა აქვთ. მათი კვება ასეთი წესით გრძელდება ორსამ თვეს, ე. ი. მანამდე, ვიდრე ხბოები ბალახს არ შეეჩვევიან.

მათ თავს დასტრიალებს ვეტერინარი და გულმოდგინედ აკვირდება, მადიანად შეექცევიან რძეს თუ არა, თუ რომელიმეს უხალისობა შეამჩნია, მაშინვე უზომავს სიცხეს, არკვევს ჯანმრთელობის მდგომარეობას და შეაქვს რვეულში. ასე იზრდება მეწველ საქონლის ახალი თაობა, რომელმაც უნდა შეცვალოს ჩვენი ფერმების უჯიშო შემადგენლობა.

წველა გრძელდება, მწველელები წველასაც არ არჩენენ ძროხებს, არ შორდებიან მათ, მანამდე, ვიდრე არ დაცლიან ჯიქნებს. როგორც „კეთილსინდისიერი" მომღერები ღვინით სავსე ტიკებს. შედარება მთლად სწორი არ არის, რადგან წველა საკმაოდ მომქანცავი ჯაფაა, რომელიც სათანადო კვალიფიკაციას და დახელოვნებას მოითხოვს. ეს სამგლე მაინც არაფერი იყო, ეხლა მთლად მოუშვა ხელი, ჩვის ერთი შუახნის მწველელი ქალი, რომელიც ეს არის მორჩა ერთ-ერთ ძროხის წველას და თავისი საყვედურის გასამართლებლად გვიჩვენებს ნაწველს, რომელიც ძლივს ჰფარავს ჭურჭლის ფსკერს.

— აშენდება ჩემი ოჯახი, რომ მხოლოდ ასეთი ძროხების ამარა ვიყო, — განაგრძობს მწველელი, — მაგრამ დღის ვერც „შვეიცარკები" იწველიან საკმაოდ. საერთოდ რძემ იკლო. ბალახი გახმა, ძროხები ფერდებს ვერ იყსებენ.

როგორც მათთან საუბრიდან გამოირკვა, მწველელნი დაინტერესებულნი არიან შეავსონ ნორმა. მეტზე ისინი არ ზრუნავენ, რადგან თუ დაუჯერებთ, მათ შესაძლებლობას და მონდომებას აღემატება მოაწველონ ძროხებს დაწესებულ ნორმაზე მეტი. მაგრამ ეს დაუინტერესებლობა უნდა იყოს სანარდო სისტემის არა სწორი და არა მტკიცე გატარების შედეგი. თვითეულ მწველელს მიჩენილი ჰყავს სხვადასხვა ჯიშის ძროხების თანაბარი. რიცხვი ათი თუ თორმეტი ძროხა, დღიური ნორმა უდრის ას ლიტრს. ეს ნორმა იცვლება (ხან იზრდება, ხან მცირდება) ლაქტაციის პერიოდების მიხედვით, ნორმის ზევით ნაწველზე შეფასება მატულობს. მაგრამ ასეა თეორიაში.

— პრაქტიკულად კი ზედმეტისათვის ჯერ არაფერი მიგვიღიაო, აცხადებენ მწველელნი.

თუ ამას დაუმატებთ, რომ მომვლელთათვის სანარდო შეფასება დაწესებულია მხოლოდ მიმაგრებულ პირუტყვის რაოდენობის და არა წველადობის მიხედვითაც, გასაგები იქნება, თუ რატომ ვერ იჩენენ სათანადო ინტერესს მწველელ-მომვლელნი, პროდუქციის რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდებისადმი, ან რატომ არ იძლევა სანარდო სისტემა მოსალოდნელ ეფექტს ციხისჯვრის ფერმაში.

სანარდო სისტემა ამ მეურნეობაში საჭიროებს ნამდვილ გატარებას, მას აუცილებლად საფუძვლად უნდა დაედვას საკავშირო სახკომსაბჭოს ა. წ. 7 აპრილის დადგენილება, რომლის ძალით მეწველ საქონლის მომსახურე მომვლელ-მწველელნი და ბრიგადირები თავის სატარიფო განაკვეთის 50 პროცენტს უნდა ღებულობდნენ საგარანტიო ხელფასის სახით, ხოლო ხელფასის მეორე ნახევარს — პირდაპირი სანარდო შეფასების წესით მოწველილი და ჩაბარებული რძის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება მეწველ საქონლის ჯოგის მომსახურე ბრიგადის წევრთა ნივთიერი დაინტერესება პროდუქტიობის გადიდებასა და დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში.

— როგორ არის პრემიების გაცემის საქმე? ხდება თუ არა თქვენი დაჯილდოვება? — ვეკითხებით წველელებსა და მომვლელებს.

— დაჯილდოვება? რისთვის?

— საკვების დაზოგვისათვის, პირუტყვის ფაქიზად მოვლისათვის, რძის სისუფთავისათვის, სიბერწის [illegible] მინიმუმამდე დაყვანისათვის, ჯიქნების სისაღისა და საერთოთ სანიტარულ ჰიგიენურ პირობების დაცვისათვის.

— ასეთი მაგალითი ჩვენ არ გვახსოვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ შემთხვევას, როცა მწველელის თანამდებობიდან სამკუთხედის ერთ-ერთი პასუხისმგებელი წევრის სრულუფლებიან დირექტორად დაწინაურებულ იქნა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის წარმატებაში, როლი იმდენად მის გულმოდგინეობას არ უთამაშია, რამდენადაც მისი გარეგნობის მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით უმჯობესი იქნება, თუ სამკუთხედი წესად შემოიღებს პრემიების გაცემის სხვა ფორმებს, რასაკვირველია, არა ლამაზი თვალებისათვის, არამედ სოციალისტური საკუთრებისადმი გულმოდგინე და მზრუნველობითი დამოკიდებულებისათვის.

ვ. ფულუკიძე

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისტულ-ლენინური პროგრამები პოლიტექნიკურ სკოლებს

„1933 წლის პირველ იანვრისათვის პროგრამები გადამუშავდეს იმ გვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბავშვების მიერ მეცნიერების საფუძვლების და ფაქტების მტკიცე სისტემატიური შეთვისება, სწორი მეტყველების და წერის, მათემატიკური ვარჯიშობის და სხვა ჩვევები" (საკ. კ. პ. (ბ) ცკა)

დავაჩქაროთ პროგრამების გადამუშავება

წინა წლებთან შედარებით დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაობაში უკანასკნელ წელს მოხდა საგრძნობი გარდატეხა. ეს გარდატეხა მიღწეული იქნა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე. გადამუშავდა სასწავლო პროგრამები და გეგმები, სკოლები გადავიდნენ მეცნიერების საფუძვლების სისტემატიურ შესწავლაზე, მაგრამ როგორც საქ. კ.პ. (ბ) ცეკამ თავის 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილებაში აღნიშნა დაწყებითი და საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამისა და რეჟიმის შესახებ, **ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი სკოლის ძირითადი ნაკლი.**

„ამის უმნიშვნელოვანეს მიზეზებს—ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებაში, წარმოადგენენ პროგრამების (განსაკუთრებით სკოლის 5, 6, 7, ჯგუფის მეორე კონცენტრის პროგრამების) დეფექტები, სასკოლო მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მეთოდები, სუსტი მეთოდიური ხელმძღვანელობა განსახკომისა და მათ ადგილობრივი ორგანოების მხრით, სუსტ დისციპლინა სკოლაში, ზოგჯერ ყოველგვარი დისციპლინის და წესრიგის უქონლობა".

გასულ სასწავლო წელში გამოცემული პროგრამების უმთავრეს დეფექტს წარმოადგენდა ის, რომ პროგრამები ძალზე გადატვირთული იყო სასწავლო მასალით, რაც იწვევდა დისციპლინების ზერელედ და ნაჩქარევ გავლას, ბავშვები მტკიცედ ვერ ითვისებდნენ ცოდნას და ჩვევებს. არა საკმაო და ზოგჯერ სრულიადაც არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკე საგნების პროგრამები, განსაკუთრებით ეს მკვეთრად ემჩნეოდა მათემატიკის და შრომის პროგრამებს. არ ჩანდა საკმაო ისტორიული მიდგომა საზოგადოებრივი საგნების პროგრამებისადმი, „რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ პროგრამებში ძალიან სუსტ წარმოდგენას ღებულობდენ მოსწავლეები, ხალხთა და ქვეყანათა ისტორიულ უფლებრივ მდგომარეობაზე, საზოგადოებრივი განვითარებაზე და სხ.". ბოლოს „მთელ რიგ პროგრამებში ადგილი აქვს პრინციპიალურ შეცდომებს და პროგრამების ზოგიერთი შემდგენელი გამარტივებულად და ვულგარიზატორულად უდგება თავის ამოცანას" (ფიზიკა, ბიოლოგია, მშობლიური ენა და სხვ.).

ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 25 აგვისტოს დადგენილებაში მოგვცა ამომწურავი მითითებები, როგორც სასწავლო პროგრამების გადამუშავების, ისე სწავლების ორგანიზაციის და სკოლის რეჟიმის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით განათლების სახალხო კომისარიატმა 1933 წლის პირველ იანვრისათვის უნდა შეასრულოს დაწყებითი და საშუალო სკოლის პროგრამების გადამუშავება „**იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას ბავშვების მიერ მეცნიერების საფუძვლების და ფაქტების ცოდნის მტკიცე და სისტემატიური შეთვისება, სწორი მეტყველების და წერის, მათემატიკური ვარჯიშობის და სხვ. ჩვევები**".

უნდა ჩატარდეს სასწავლო მასალის შინაგანი განაწილება, პროგრამების სასწავლო მასალის მოცულობა და ხასიათი სავსებით უნდა შეეფარდოს ბავშვების ასაკს და მომზადებას, ცალკე საგნები სასწავლო პროგრამები მტკიცედ უნდა დაუკავშიროთ ერთმანეთს. საგრძნობლად უნდა „გაძლიერდეს ისტორიის ელემენტები საზოგადოებათმეცნიერების, ენის, ლიტერატურის და გეოგრაფიის პროგრამებში. ამასთან ერთად თემის ძირითადი განყოფილებანი აღნიშნული დისციპლინებიდან უნდა გაშუქდეს საჭირო ფაქტიური მასალით, ისტორიული ექსკურსიებით და შედარებებით".

ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს **მშობლიური ენის სწავლების დაყენებას დაწყებითი და საშუალო სკოლებში.** მშობლიური ენის პროგრამამ, უნდა უზრუნველყოს ცოდნის ნამდვილი სისტემატიური, ზუსტად განსაზღვრული წრის შეთვისება, კითხვის, წერის და ზეპირი გადმოცემის მტკიცე ჩვევების შეთვისება—ასეთია ის ამოცანები, რომლის საფუძველზე უნდა შევუდგეთ სასწავლო პროგრამების გადამუშავებას.

ცენტრალური კომიტეტის ეს დირექტივები მთლიანად უნდა შესრულდეს, აქედანვე უნდა შევუდგეთ პროგრამების გადასინჯვისათვის მზადებას. განათლების კომისარიატმა ამ მხრით უკვე გაშალა მუშაობა, საჭიროა სასწავლო პროგრამების გადამუშავების საქმეში ფართოდ ჩავაბათ თვითეული სკოლა, თვითეული მასწავლებელი, თვითეული წარმოება, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სამანქანო-სატრაქტორო სადგური, გადაჭრით უნდა აღიკვეთოს სასწავლო პროგრამებში ყოველგვარი დამახინჯებანი, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ძირშივე აღვკვეთოთ და განვდევნოთ სკოლის პოლიტექნიზაციის მემარჯვენე შეუფასებლობის და „მემემარცხენო" ვულგარიზატორული ნახტომები სასკოლო მუშაობაში. უნდა უზრუნველვყოთ პროგრამების მტკიცე მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე შედგენა.

სკოლები ელიან ახალ პროგრამებს. ჩვენ ვალდებული ვართ რაც შეიძლება დაჩქარებით მივაწოდოთ მათ იგი. **პოლიტექნიკურ სკოლას—მტკიცე მარქსისტულ ლენინური პროგრამები — ასეთია ამოცანა.**

გ. ხ.

მტკიცე სასწავლო პროგრამები პოლიტექნიკურ სკოლებს

(ოზურგეთის რაიონი)

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წ. 5 სექტემბრის დადგენილების შემდეგ რაიონის სკოლებში მოხდა ძირითადი გარდატეხა: გაუმჯობესდა მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება, მეთოდიური პროექტობის ნაცვლად სკოლები თანდათანობით გადადიან სისტემატიური ცოდნის შეთვისების ნამდვილ ხერხზე, რის შედეგად გაიზარდა მოწაფეთა აკადემიური მომზადების ხარისხი.

შედარებით გაუმჯობესდა აგრეთვე სასწავლო დისციპლინაც, როგორც მასწავლებელთა, ისე მოწაფეთა შორის.

მიუხედავად ამ უდაო მიღწევებისა, სასკოლო მუშაობაში მთლიანად ჯერ კიდევ არ გატარებულა ცენტრალური კომიტეტის 5 სექტემბრის დადგენილება.

ეს ცხადად გვიჩვენა რაიონში პედაგოგიურსა და ჩაის ტექნიკუმებში ჩატარებულ მისაღებ გამოცდებმა, სადაც მოწაფეთა უმეტესმა ნაწილმა სწორედ **ძირითად საგნებში გამოიჩინეს სისუსტე.**

სკოლებში აკადემიური დონის ჩამორჩენა უნდა აიხსნას **მეთოდური მუშაობის სისუსტით,** განათლების განყოფილების არა მტკიცე ხელმძღვანელობით და მასწავლებელთა ნაკლები კვალიფიკაციით ზოგიერთ სკოლებში.

გასულ სასწავლო წელში რაიონის ზოგიერთი სკოლებში ადგილი ქონდა კურიოზებს საზოგადოებრივ პოლიტიკურ საგნების სწავლების საქმეში. ასე, მაგ., ზვანის 7 წლედის მასწავლებელი სავსებით ჩქმალავდა განსხვავებებს საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობას შორის და სხვ.

აღნიშნულ დეფექტებთან ერთად, სკოლის ნაკლის აღმოფხვრას ხელს უშლის სასწავლო პროგრამებში დაშვებული შეცდომები.

რაიონში არა დამაკმაყოფილებლად ტარდება სკოლის პოლიტექნიზაცია. კოლმეურნეთა ახალგაზრდობის სკოლების საწარმოო პრაქტიკა უმეტეს შემთხვევაში ატარებს მხოლოდ ფიზიკური მუშაობის ხასიათს. საწარმოო პრაქტიკა ტარდება უპროგრამოთ და ხშირად არ გამომდინარეობს თეორიული სწავლებიდან.

ამასთან ერთად არსებული პოლიტექნიკური სახელოსნოები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, სახელოსნოები არ არიან მომარაგებულნი საჭირო ხელსაწყოებით და მანქანა - იარაღებით.

ახალ სასწავლო წელს რაიონის უმეტესი სკოლები სრულიად მოუმზადებელი შეხვდნენ.

—

მასწავლებელთა კურსკონფერენციამ ბოლშევიკური თვითკრიტიკის წესით გამოამჟღავნა ყველა ეს დეფექტები და საკ. კ. პ. (ბ) 25 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე დასახა მისი გამოსწორებისათვის პრაქტიკული ღონისძიებანი. საჭიროა რაიგანათლების განყოფილებამ ეხლავე გაშალოს მუშაობა აღნიშნულ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

„კომუნისტი"-ს და „ლენინის დროშა"-ს ბრიგადა.

ა-წ 26 ოქტომბერს სად. 6 საათზე
შესდგება თბილისის საბჭოს შემდეგი
სექციების პლენუმები

- I. კომუნალური სექცია ტრამვაის კლუბში (პლეხანოვის პრ.).
- II. ჯანმრთელობის დაცვის სექ. ტელასის წითელ კუთხეში (თავისუფლების მოედანი ქარვასლა).
- III. შრომის ყოფაცხოვრების დაცვის სექციის (პროფკავშირების მცირე დარბაზში).
- IV. მუშათა მომარაგების სექციის ტფილისის საბჭოს საორგ. განყოფილებაში ოთახი № 32.
- V. საფინანსო და სამხედრო სექციების ტფ. საბჭოს წითელ დარბაზში.
- VI. სახალხო განათლების სექციის თბ. საბჭოს ოთახი № 6—7.
- VII. სატრანსპორტო სექციის პლეხანოვის კლუბში (ნაძალადევი).

ტფილისის საბჭოს წევრების, სექციების წევრების, სადეპუტატო ჯგუფების წევრების, ხელმძღვანელების და მიმაგრებულ აქტივის დასწრება სავალდებულოა.

თბ. საბჭოს საორგ. განყოფილება.

სწორად განვანაწილოთ მოსავალი კოლმეურნეობებში

საქ. მიწსახკომის კოლეგიის, საქ. კოლმეურნცენტრის გამგეობისა და ტრაქტორცენტრის დადგენილება კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის განაწილების მიმდინარეობის შესახებ.

რაიონების და კოლმეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შედეგათ გამოირკვა, რომ: მთელმა რიგმა სარაიონო კოლმეურნკავშირებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყვეს საქ. კ.პ. (ბ) ც-ის 5 ივლისისა, საქართველოს კ.პ. (ბ) ცკას 7 აგვისტოს დადგენილებისა და საქ. მიწსახკომის და კოლმეურნცენტრის შემოსავლის და მოსავლის განაწილების ინსტრუქციის კოლმეურნეობამდე კოლმეურნემდე დაყვანა. ამის შედეგათ შემოსავლისა და მოსავლის განაწილების საქმეში ადგილი აქვს შემდეგ ნაკლოვანებებს და შეცდომებს:

1. კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილში ჯერ კიდევ არ არის შეჯამებული და შრომისა და საწევრო წიგნაკებში გადატანილი: ა) კოლმეურნეთა გამომუშავებული შრომა-დღეები; ბ) გაცემული ფულადი და ნატურალური ავანსები, გ) მიღებული ფულადი და ნატურალური შემოსავალი, დ) გაწეული ხარჯები და ვალები; ე) საჭირო თესლეულისა და საქონლის საკვების რაოდენობა, და ვ) ბრიგადებზე მიცემულ საწარმოო დავალებათა შესრულების შედეგები.

არ არის შედგენილი მოსავლისა და შემოსავლის განაწილების გეგმა, სრულებით არ ჩანს სარევიზიო კომისიების მონაწილეობა მოსავლის განაწილებაში (სიღნაღი—სტალინისის სახ. კოლმეურნეობა, ყარაიაზი ქართველიშვილის სახ. კოლმეურნეობა, ბორჩალო შაუმიანის სახ. კოლმეურნეობა და სხვ.).

2) რიგ შემთხვევებში წევრებს ფულადი და ნატურალური ავანსები ეძლევათ: ა) არა დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის, არამედ მუშა- ხელის და სხვ. მიუღებელ წესების მიხედვით, ბ) კოლმეურნეებზე, თვითეულ შრომა-დღეზე გასაცემ ავანსს საზღვრავენ არაკოლმეურნეობის შემოსავლის და საერთოდ გამომუშავებულ შრომა-დღეების მიხედვით—არამედ შემთხვევით დაწესებულ ნორმებით. გ) ზოგიერთ კოლმეურნეობებში შემოსავალი ნაწილდება სათანადო სათესლე, საფურაჟო, განუყოფელი და სხვა ფონდების შეუქმნელად (ბორჩალო—შაუმიანი, გურჯაანი, ურიათუბანი, დუშეთი, გარე-კახეთი და სხვ.). 3) ხშირ შემთხვევებში კოლმეურნეობის გამგეობები დაუშვებლად აგვიანებენ საკოლმეურნეო ვაჭრობიდან და დამზადებიდან მიღებულ ფულად შემოსავლის გაცემას; ან მიღებულ ფულად შემოსავალს მთლიანად ხარჯავენ მშენებლობაზე; ზოგან კი მთელი შემოსავლის 70 პროცენტს ანდომებენ საწარმოო ხარჯებს (სიღნაღი, ზემო-ნახიანის კოლმ., გარე-კახეთი, დუშეთი, გურჯაანი და სხვ.).

4) სრულიად არ ჩანს სამიწათმოქმედო განყოფილებათა და სატრაქტორო სადგურების მონაწილეობა და ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე მოსავლისა და შემოსავლის განაწილების საქმეში. დღემდე გამოურკვეველი და მოუწესრიგებელია დამამზადებელი და სამეურნეო ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების საქმე.

საქ. მიწსახკომის კოლეგია საქ. კოლმეურნცენტრის გამგეობა და ტრაქტორცენტრი ადგენს:

1) მოსავლისა და შემოსავლის განაწილების წარმატებით ჩატარებისა და აღნიშნულ დეფექტების დაუყოვნებლივ აღმოფხვრის მიზნით 25 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე ჩატარებული იქნას ერთთვიური, რისთვისაც დაევალოს რაიმიწგანებს, სამანქანო, სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, რაიკოლმეურნკავშირებს, კოლმეურნეთა გამგეობებს, სარევიზიო კომისიებს და მოანგარიშეებს გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი: საბოლოოდ აღრიცხონ შეამოწმონ და გაატარონ შრომის საწევრო და ანგარიშსწორების სათანადო ფორმებში: ა) თვითეული კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეები; ბ) მათზე გაცემული ფულადი და ნატურალური ავანსები; გ) მიღებლი ყველა სახის შემოსავალი (ფულადი, ნატურალური); დ) ვალები, გადასახადები და საწარმოო ხარჯები; ე) განსაზღვრონ და გადადონ განსაზოგადოებული საქონლისათვის საჭირო საკვები და შემოდგომის და გაზაფხულის სათესლე ფონდი; ვ) გამოარკვიონ ბრიგადებზე მიცემულ საწარმოო დავალების შესრულების შედეგები და ზ) მოიყვანონ წესრიგში სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებთან ფინანსიური ანგარიშსწორების საქმე.

3. დაევალოს კოლმეურნეობის გამგეობის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეებს და მოანგარიშეებს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ 15 ნოემბრამდე შეადგინონ საქ. კოლმეურნცენტრის მიერ მიცემულ ინსტრუქციის საფუძველზე შემოსავლისა და მოსავლის განაწილების გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული უნდა იქნას სამეურნეო წლის დამთავრებამდე მოსალოდნელი შემოსავალი დასახარჯი შრომა-დღეები და ხარჯები. შემოსავლის და მოსავლის განაწილების გეგმები განხილულ იქნეს ბრიგადების კრებებზე, კოლმეურნეობის საწარმოო თათბირებზე, გამგეობებზე და საბოლოოდ დამტკიცდეს საერთო კრებაზე.

4. წინადადება მიეცეს ყველა კოლმეურნეობის გამგეობებს შეუფერხებლივ გასცენ კოლმეურნეებზე შრომა-დღეების ქვალობაზე კუთვნილი ფულადი და ნატურალური შემოსავალი, შემოსავლისა და მოსავლის განაწილების გეგმების შედგენის და მასში მოსალოდნელ ხარჯების შემოსავლისა და დასახარჯ. შრომა-დღეების გათვალისწინების შემდეგ.

5. დაევალოს კოლმეურნეობების გამგეობებს გამოიმუშაონ ნაგვიანები კულტურებიდან მიღებულ პროდუქციის (სიმინდი, ღვინო და სხ.) გაცემის წესი. და მისი საერთო კრებაზე დამტკიცების შემდეგ მოსავალი შეუფერხებლივ გაიცეს კოლმეურნეებზე შრომა-დღეების რაოდენობის მიხედვით.

6. დაუშვებლად იქნას ცნობილი ყველა სახის ფულადი შემოსავლის, მშენებლობაზე დაბანდება და ამ თანხების უგეგმოთ დახარჯვა, ან წევრებზე გაცემის დაგვიანება. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს და სარევიზიო კომისიებს ყოველ მიზეზ გარეშე უზრუნველყონ ფულადი შემოსავლის წევრებზე სისტემატიურად და შეუფერხებლად გაცემა. სასტიკად აიკრძალოს საკოლმეურნეო ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავლის 10—15 მეტი განუყოფელ ფონდში გადარიცხვა, ან მის ანგარიშში მშენებლობაზე და სხვა ხარჯებზე დაბანდება კონკრეტული დამნაშავენი საკოლმეურნეო ვაჭრობიდან შემოსულ თანხების არა დანიშნულებისამებრ დახარჯვისათვის ან კოლმეურნეებზე ამ თანხების განაწილების დაგვიანებისათვის დაუყოვნებლივ გამომჟღავნებულ იქნენ და მიცემულ პასუხისგებაში.

7. კომუნებში შემოსავლის და მოსავლის განაწილება უნდა ჩატარდეს მიწსახკომის და საქ. კოლმეურნცენტრის ინსტრუქციის შემდეგი დამატებებით:

ა) არ შეიქმნება განსაზოგადოებულ ქონებაზე და მრავალწლიან ნარგავებზე გასანაწილებელი 5 პროცენტიანი ფონდი და

ბ) საზოგადოებრივი ფონდი შეიქმნეს არა უმეტეს 3 პროც.

8) შემოსავლის და მოსავლის განაწილების დროს კოლმეურნეობის გამგეობები ვალდებულები არიან რაიკოლმეურნკავშირებისათვის გადარიცხონ ფულადი შემოსავლის 1 პროცენტი.

9. წინადადება მიეცეს რაიმიწგანებს, რაიკოლმეურნკავშირებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს ადგილობრივ პარტსაბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით მობილიზაცია უყონ კოლმეურნეობებზე ცოცხალი ხელმძღვანელობის და დახმარების აღმოსაჩენად საჭირო მუშაკებს და მათთან ჩატარდეს 2 დღიანი კურს-კონფერენციები იმ ანგარიშით, რომ ისინი მივლინებული იქნან კოლმეურნეობებში არა უგვიანეს 25 ოქტ.

10. ჩატარდეს 2 დღიანი კურს-კონფერენციები, კოლმეურნეობის გამგეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეების, მოანგარიშეების, მოსავლის და შემოსავლის განაწილების ინსტრუქციის და გეგმის შედგენის საკითხებზე.

11. დაევალოს კოლმეურნკავშირებს მოწინავე კოლმეურნეობებიდან მიავლინონ ბრიგადები და განსაკუთრებით მათი მოანგარიშეები ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის განაწილების საქმეში გამოცდილების გადასატანათ და დასახმარებლად.

მოსავლის და შემოსავლის განაწილების და შემოდგომის თესვის საქმეში რაიონებზე ცოცხალი ხელმძღვანელობის და დახმარების გასაწევად ერთი თვით გაიგზავნოს არა ნაკლები 40 პ. მგ. ამხანაგებისა საქ. მიწსახკომიდან, ტრაქტორცენტრიდან და საქ. კოლმეურნცენტრის სისტემიდან.

12. ოპერატიული ხელმძღვანელობის მიზნით დაწესდეს მიწგანებიდან და რაიკოლმეურნკავშირებიდან 5 დღიანი ცნობების მოწოდება და ასეთის პრესაში სარაიონო ჯამების სახით გამოქვეყნება.

საქ. მიწსახკომი შ. მათიკაშვილი.
საქ. კოლმეურნცენტრი—წულუკიძე.
საქ. ტრაქტორცენტრი ხუხუა.

ოფიციალური განყოფილება

ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების გადასინჯვის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ-ის ც. ს. კომისია-მუშგლეხინთან არსებული მთავრობის კომისიის 1932 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება

საქართველოს ც. ს. კომისია-მუშგლეხინთან არსებული მთავრობის კომისია, რომელიც გამოყოფილია საქართველოს ს. ს რ.-ის სახკომსაბჭოს მიერ სახელმწიფო, სამეურნეო, სავაჭრო, კოოპერატიულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სტრუქტურის, შტატების, განაკვეთების და სხვა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების გადასასინჯად და 1933 წლისათვის დასაწესებლად, **წინადადებას იძლევა:**

1. ყველა სახალხო კომისარიატებმა და სხვა ანალოგიურ რესპუბლიკანურ ცენტრალურ ორგანოებმა (ცეკავშირი, სარეწაოკავშირი, საქგზატრანსი და სხვ.) არა უგვიანეს ამა წლის 3 ნოემბრისა გადასინჯონ და საქართველოს ს. ს. რ.-ის ც. ს. კომისია-მუშგლეხინთან არსებულ მთავრობის კომისიას წარუდგინონ ყველა მასალა და თავიანთი დასკვნები როგორც ცენტრალური რესპუბლიკანური აპარატის, ისე მათ სისტემაში შემავალ ყველა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სტრუქტურის, შტატების, განაკვეთების და სხვა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შესახებ 1931 და 1932 წლების განმავლობაში და 1933 წლისათვის

სტრუქტურის, შტატების, განაკვეთების და სხვა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების გადასინჯვას საფუძვლად დაედოს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების მაქსიმალურად შესაძლებელი დაკლება, შტატების შემცირება, განაკვეთების ნორმალურ სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ განაკვეთთა სქემებთან შეფარდებით და აპარატის ზედმეტი რგოლების გადაჭრით გაუქმება.

2. გამოუკლებლივ ყველა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა 5 დღის ვადაში დაამუშავონ და დაუყოვნებლად წარუდგინონ თავიანთ რესპუბლიკანურ ცენტრებს (სახალხო კომისარიატს, ცეკავშირს და სხვ.) სტრუქტურის, შტატების, განაკვეთების და სხვა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების პროექტები 1933 წლისათვის, რასაც თან დაურთონ განმარტებითი ბარათები და 1931 და 1932 წლების შედარებითი ცნობები ამავე საკითხებზე. (ცნობების [illegible] უნდა მიიღონ საქართველოს მუშგლეხინში ოთახი № 28).

3. ყველა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მხედველობაში იქონიონ, რომ მოთხოვნილ ცნობების არასრულად და არა თავის დროზე წარდგენა მათ მიერ აიძულებს მთავრობის კომისიას:

ა) დააწესოს მათთვის შტატები, სტრუქტურა, განაკვეთები და სხვა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები ც. ს. კომისია-მუშგლეხინის განკარგულებაში არსებული მასალის საფუძველზე ან

ბ) შეაჩეროს მათთვის აპარატის შესანახად საჭირო სახსრების გაცემა.

მთავრობის კომისიის თავმჯდომარე—საქართველოს კ. პ. (ბ) ც. ს. კომისიის თავმჯდომარე და მუშგლეხინის სახალხო კომისარი მზარეულაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს.კ.პ.(ბ) ცეკას კულტპროპგანყოფილების მიერ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები მობილიზაციის წესით მიმაგრებული არიან კომკავშირის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების პლენუმებზე მოხსენებების ჩასატარებლად საქ. ალკკავშირის 15 წლის თავის შესახებ: ამხანაგები უნდა დაუკავშირდნენ რაიონებს და ჩაატარონ პლენუმები 27 ოქტომბრიდან 1-ლ ნოემბრამდე.

დანარჩენ რაიონებში ევალებათ პარტკომიტეტებს უზრუნველყონ სათანადო მომხსენებლებით კომკავშირის პლენუმების ჩატარება ამავე საკითხზე.

ც. კ. კულტპროპ. განყ. გამგე ორაგველიძე.

სია რაიონებზე მიმაგრებულ ამხანაგებისა, კომკავშირის აქტივის პლენუმების ჩასატარებლად 15 წლ. თავთან დაკავშირებით.

ბათუმი—გეურქოვი (საოლქკომი), სოხუმი—ლადარია (ტყვარჩელშენი), ცხინვალი—ალავერდოვი ქუთაისი — ბარამიძე (კოლმეურნცენტრი), ჭიათურა — ჯავახიძე, სიღნაღი—კეკელია (პარტრაიკომი), სტალინისი — გ. კალმახელიძე (პარტრაიკომი), ოზურგეთი — ორაგველიძე სანდრო (ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობა), სამტრედია—ადამაძე ბარნაბ (პარტრაიკომი), ფოთი ქვერნაძე (საქ. კომიტეტი), ლანჩხუთი—რამიშვილი (რაიკომი), ვანი — ჯინჭარაძე (რაიკომი), ზესტაფონი — ხვედელიძე ბორჩალო—ვასილოვი, ბაშკიჩეთი — ცხაძე, გორი—გაბარაშვილი (ს.კ.პ.(ბ) სანკ. კომიტეტი), თელავი — დინიბეგოვი (თელავის პარტკომი), ალბულაღ-მანგლისი — მისკინი, ტყიბული — ლეკიშვილი.

გაზ. „კომუნისტი"-ს და „საბჭოთა ვაჭრობისათვის რედქციები, გაზ. „სნაბჟენიე, კოოპერაცია ი ტარგოვლია"-ს ა.-კ. წარმომადგენლობასთან ერთად 26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე „კომუნისტი"-ს რედაქციის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 16) იწვევენ ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ საწარმოთა და სავაჭრო ორგანიზაციების კედლის გაზეთების რედაქტორების, რედკოლეგიის წევრების და მუშკორთა

საერთო-საქალაქო შეკრებას

დღის წესრიგი: მუშკორების და ძირეული პრესის ამოცანები საქ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში.

„კომუნისტი"-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების სექტორი.

სახოპერა

26 ოქტ. 19 აბ. 2 წ. **ტრავიატა** | 27 ოქტ. 16 აბ 2 წ. ნ. ნ. სერედას მონაწ. **აბესალომ და ეთერი** | 28 ოქტ. 12 აბ 2 წ. I ჯამბაზები II ვალპ. ღამე

მზადდება ოპერა **რლევა** სანდრო ახმეტელის დადგმით.

აბონენტების საყურადღებოდ: აბონემენტების მესამე მორიგი შესატანი მიიღება ყოველდღე 11-დან 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე აბონენტები, რომლებიც მესამე შესატანს არ გადაიხდიან თავიანთი წარმოდგენის დღის 2 საათამდე, წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებული და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებრივი წესით. ა. 299 ხ. 303

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღ.

26 ოქტ. 4 აბ 1 წ 3 კირშონი **ქართა ქალაქი** | 27 ოქტ. 1 აბ 2 წ. 3. კირშონი **ქართა ქალაქი** | 28 ოქტ 3 აბ. 2 წ 3 კირშონი **ქართა ქალაქი**

მეორე გადასახადი სავალდებულოა.

განსაზღვრული რიცხვი ბილეთებისა თეატრის სალაროში.

დასაწყისი 8 საათზე ნ. 306

[illegible] **კოტე მარჯანიშვილის** ხელმძღვანელობით

26 ოქ. 5 აბ. 1 წ **ქაქალმელში** | 27 ოქტ აბ გარ **შრიმლ აქო-ტა** | 28 ოქ. 3 აბ 1 წ **მენჯავი ალაპარაკდენ**

ყველა აბონემენტების წარმოდგენებზე განსაზღვრული ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. პირველ ნოემბრამდე უნდა იყოს შემოტანილი აბონემენტების მეორე გადასახადი. მორიგი პრემიერა—უ. შექსპირი ო ტ ე ლ ო თარგ. ი მაჩაბლის

ნ. 305 დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (უ. აპოლო) ნ-30. 8-30. 10-30.

დამკვრელი (საზაფხ.) ყოფ. პალასი. დასაწყ. 7-45, 9-15. 10-45

დამკვრელი ზამთრის ნ. 7-30, 9, 10-30

კინო დარბაზი ზამთ. დას. 6-30, 8. 9-30, 11 ს.

დარბაზი საზაფხ. 7—30, 9, 10—30.

ე თ ე რ ი დასაწყ. 7-30, 9, 10-30.

რ. ლიუქსემბურ. სახ კინო (ყოფ. მინიონი) დასაწყ. 8, 9-30, 11.

ახალი მხატვრული ფილმი **ტომი** პროგრამის გარეშე ავტოგზელი.

მხატვრული კომედია **უცნობი კაცი**

გაროლდ ლოიდი კომედიაში **უმცროსი შვილი** პრ. გაი. დნეპრშერის ამუშავება.

ამ რიგული მხატვრული ფილმი **მრავალსართულიანი სახლი** პროგრამის გარეშე ხელები შორს.

მხატვრული ფილმი **გილიანის ქალიშვილი**

ახალი ეგზემპლიარი სურათის **ვინ არის დამნაშავე** მე-2 სერია. რეჟისორი ა წუწუნავა

ახალი ეგზემპლიარი სურათისა **კაცი რესტორანიდან**

განსახკომის სამეცნიერო სექტორი სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და სამეცნიერო მუშაკების ცენტრალურ ბიუროსთან ერთად 28/10. საღამოს 7 საათზე. საქართველოს მუზეუმის სალექციო დარბაზში (ფურცელაძის ქუჩა, № 1, იწვევს

ქალაქ თბილისის სამეცნიერო მუშაკების თათბირს.

სამეცნიერო საკვლევო შრომის დაგეგმვა შესახებ სახალხო მეურნეობის გეგმების მეორე ხუთწლედთან დაკავშირებით. მოხსენება სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამეცნიერო სექციისა

სამეცნიერო მუშაკების მთელი მასის დასწრების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ეკისრება სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დაწესებულებების დირექტორებს.

მოწვეული არიან უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენელნიც ინსტიტუტებმა მიიღონ მხედველობაში, რომ 25/10 ს დანიშნული თათბირი გადატანილია 28/10 სათვის საღამოს 7 საათისათვის. ნ. 309

ა-წ. 17 ოქტომბრიდან, თანახმად მთავრობისა და საკ-ბის მეორე ყრილობის დადგენილებისა

საზ-ბა „წერა-კითხვა" განაგრძობს თავის მუშაობას ახალი სახელწოდებით: „საქართველოს სოციალისტური კულტურის საზ-ბა" „სოცკულტურა"

ამ საზ-ბაში გაერთიანებულია აგრეთვე საქართველოს მთიელთა კულტურული საზ-ბა.

ყველა იმ დაწესებულებებმა და ცალკე პირებმა, ვისაც ურთიერთობა ქონდათ საზ-ბა „წერა-კითხვა"-სა და მთიელთა საზ ბასთან დღეიდან უნდა დაუკავშირდეს საზ-ბა „სოცკულტურას" ც/გამგეობა—თბილისი, ძერჟინსკის ქ. 22. ოთახი 53. ტელ. 19—76. 1441

ა-კ ს. ფ. ს. რ ფინანსთა სახალხო კომისარიატი

ამიერ-კავკ. დაუსწრებელი **საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი** (მისამართი: თბილისი, ჯუღაშვილის ქ. № 4)

აცხადებს მიღებას 1932 წლისათვის საფინანსო, საკრედიტო და სააღრიცხვო-ეკონომიურ ფაკულტეტების ქართულ, თურქულ, სომხურ და რუსულ სექტორებზე, აგრეთვე ინსტიტუტთან არსებულ დაუსწრებელ საფინანსო ეკონომიურ ტექნიკუმში

ინსტიტუტში ან ტექნიკუმში კურს დამთავრებულნი სარგებლობენ სათანადო სტაციონარულ სასწავლებლებში კურს დამთავრებულთა სრული უფლებებით

მიღების პირობები და წესები სასწავლო გეგმა და ანკეტები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ინსტიტუტში. ამიერ. ს. ფ. ს. რ. სომხეთის ს. ს. რ. და საქ ს. ს. რ. ფინანსთა სახ კომისარიატების კადრების განყოფილებაში, სახელმწიფო ბანკის ა-კ და რესპუბლიკანურ კანტორებში, ინსტიტუტის საკონსულტაციო ბიუროებსა და დასაყრდენ პუნქტებში და რაიონულ საფინანსო განყოფილებებში, სახელმწიფო ბანკის და შემნახველ სალაროს რაიგანყოფილებებში.

განცხადებები მიიღება 6 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე მეცადინეობა დაიწყება 1933 წლის 1 იანვარს.

1440 დირექცია.

გაზეთ „ტიფლისკი რაბოჩი"-ს რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე

ელბაქიძის დაღმართზე № 12 (ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ყოფ. შენობა),

რედაქციის ტელეფონები 11-61 და 23-77.

კანტორა და განცხადებების განყოფილება რჩება წინანდელ შენობაში—რუსთაველი № 14, ტელ. № 8—10.

კინო—ოქტომბერი დღეიდან 26, ოქტომბრიდან, ახალი მხატვრული ხმოვანი ფილმი **ტ ო მ ი** სცენარი და დადგმა ი. ა. პროტოზანოვის. ოპერატორი—კ. კუზნეცოვი მოაპერატორი—ხ ეიხმისტროვი კომპოზიტორი—ა. შენშინი. პროგრამის გარეშე ავტოგზელი. ნ. 311

საქართველოს განსახკომთან არსებული უცხოეთთან კულტკავშირის სექცია აწყობს **ავსტრიის გრავიურების გამოფენას** ხალხოსნობის მუზეუმის სახლში (ფურცელაძის ქ. № 1. I სართული) გამოფენა ღიაა დილის 11 ს. — 3 ს. და საღამოს 7 ს. — 10 ს. გამოფენაზე დასწრება უფასოა. ნ. 308

მათემატიკოსმა **ივ. მაჩაიძემ** განაახლა მოწაფეთა მიღება და მეცადინეობა **მათემატიკაში** უმაღ. სასწავ. სამხედრო აკადემიაში და ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებისათვის კლეხანოვის ქ. № 25 (შესახ. კუთხ. ჩერქეზიშვილის ქ. № 5) 9—1 ს. და 3—7 ს. 287 2-2

ვამზადებთ **მოწაფეებს** ინსტიტუტებისათვის. ათწლედისათვის და შვიდწლედისათვის მისამართი: 1. გოგებაშვილის მეორე შესახვევი № 20. 5—8 ს. 2. გოგიას შესახვევი № 24. გადასახვევი მუხრანის ქუჩიდან 5—9 ს. 3. კალგარტუთელის ქუჩა № 3 A. კინო „ოქტომბერი"-ს მახლობლად. 5—8 ს. 376 5—2

ს. ა. დიმელი დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები **სახის სილამაზის მ ო ვ ლ ა** რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეგზემას, აკნეს, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22. 13—3 5464

კბილის ექიმი **დ. ს. რიჟინაშვილი** კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავაკმყოფ. მიღება: 10-3 ს. და 5-7 ს მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის გამზ. კუთხე 25—4 80

სრ. საქ. სოც. დაზღვევის კომიტეტი აცხადებს **1-ლი და მე-2 ჯგუფის წითელ გვარდიელებსა და წითელ პარტიზანელ ინვალიდების** და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების საყურადღებოთ, რომლებიც იღებენ პენსიას დამზღვევ ორგანოებიდან, რომ პენსიების გადიდების გამო უნდა გამოცხადდენ ადგილობრივ დამზღვევ სალაროებში, ხოლო თბილისში სრ საქ. სოც. დაზღვ. კომიტეტში (ლუნაჩარსკის ქ. № 2).

ნ. 307 სრულიად საქ სოც. დაზღვ კომიტეტი

დაიკარგა ოპერის მე-17 აბ. № 42—მე-4 ბალკონი, 1-ლი რიგი. ჩ გ. 483

საქ საინჟინერო სააღმშენებლო ინსტიტუტის სტუდენტები რომლებიც ამთავრებენ თეორიულ და საწარმოო სწავლების კურსს ა/წ 1-ლ ნოემბრამდე **უნდა გამოცხადდნენ** სპეციალობის გამგეებთან 3 დღის ვადაში. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა შესდგება 5 ნოემბერს. ნ. 310 დირექცია

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მწუხარებით იუწყება კოძისაოსპიტის სპეციალისტ **გიორგი (გოგი) ბერიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას 493

გულდაწყვეტილი დედა მარიამი შვილებით, სიძეებით, რძლებით და დაობლებული ნუგზარით იუწყებიან უძვირფასეს აგრონომის **გიორგი ლევანის-ძე ბერიშვილის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, გამოსვენება 27 ოქტომბერს 5 საათზე. პეტრიაშვილის 8 2-1 490

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი ძმები: ივანე ძმა და საშა ოჯახებით იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარ **გოგი ლევანის-ძე ბერიშვილის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე გამოსვენება 27 ოქტომბერს 5 საათზე პეტრიაშვილის ქ 8 491

დამწუხრებულნი შვილები—სიმონ. თემბრო ლე, რძალი ანიჩკა შვილებით. შვილიშვილები: სოსო, შალვა, თამარა, მარგო, ნეფეები იუწყებიან **ოქრუა გრიგ.-ძე რამიშველაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26 ოქტომბერს 4 ს. კამოს საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 497

დამწუხრებული მამა კაპიტონ, დედა ანასტასია, ბებია მარინე, ძმები: კონდრატი. ვახტანგი, დაი ევლასი, სიძე ესე კუტუმიძე იუწყებიან სტუდენტის **კოტე კაპიტონის-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. დასაფლავება 27 ოქტომბერს ს. პაიჭიპიულზე (გურია) 496

დამწუხრებული ბიძა იასონ, ბიცოლა პოლინა. ბიძაშვილები: ფედოსი. სანდრო, ელენე, სიძე ლუკა, ლორია იუწყებიან **კოტე კაპიტონის-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. დასაფლავება 27 ოქტომბერს ს. პაიჭიპიულზე (გურია) 496

აბრ. საქართველოს ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მე-8 კომპლექტის დამკვრელი მქსოველის **შუშანა ვლადიმერის ას. გოგელიას** უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება ქალაქის I საავადმყოფოდან 26 ოქტომბერს 3 ს. ვერის სასაფლაოზე. 503

თავზარდაცემული მშობლები ვლადიმერ და ბარბალე გოგელიები შვილებით იუწყებიან ძვირფასი შვილის სიცოცხლით სავსე **შუშანა ვლადიმერის ას. გოგელიას** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 26 ოქტომბერს 3 საათზე ქალაქის 1-ლი საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზე. 504

გაბო და გრიგოლ თვალთაძეები ცოლშვილით, დედით ალათით, ძმა გერმანე და დაი სონიათი იუწყებიან სიცოცხლით სავსე **შუშანა ვლადიმერის ას. გოგელიას** უდროოდ გარდაცვალებას. 505

ტყიბულის ქვანახშირის მ ლაროების ურნის მუშა-მოსამსახურეები და სამკუთხედი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. **დომენტი გვეტაძის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 500

ტყიბულის ქვანახშირის საშახტო სამართველოს მუშა-მოსამსახურეები და მუშათა ორგანიზაციები მწუხარებას გამოსთქვამენ გეგმის შესრულებისათვის ენერგიულ მაღაროს მუშის **დომენტი გვეტაძის** ტრაგიკულად დაკარგვის გამო 502

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროს მუშა მოსამსახურეები და სამკუთხედი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ენერგიული და დაუღალავი მაღარო მუშის **დომენტი გვეტაძის** ტრაგიკულად დაკარგვის გამო. 502

ა/კ რ/გზების დირექციის სალიანდაგო დარგის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ამხანაგის, მეორე საექსპლოატაციო რაიონის სალიანდაგო დარგის უფროს ინჟინერის **ლევან სვიმონის-ძე ხუნდაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება 501

მშობლები: ოლღა და სვიმონ ხუნდაძე, მეუღლე თამარა, და ელენე მუსხელიშვილისა ქმარშვილით, ძმა მიხეილ ცოლშვილით იუწყებიან უსაყვარლესი **ლევან სვიმონის-ძე ხუნდაძის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, ორჯონიკიძის № 23. 488

კოლია ცოლით ანეტა. არშენაკა, მწუხარებით იუწყებიან ძვირფას დაუვიწყარ ძმის და დედამთილის **თითიკო ზაქარიას ას. ოსეპოვის** გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, 5 საათზე. გასვენება 27 ოქტომბერს 3 საათ. ავლაბარი. ნატახტარის ქ. № 13. 498

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დარო, შვილები: ნიკოლოზი, სოფიო, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ 24 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა ძვირფასი **ილია ქაიხოსროს-ძე დავითიშვილი** დაკრძალვა 27 ოქტომბერს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება გუდაურის ჩიხიდან № 3. 5 საათზე 485

დამწუხრებული სიძე ერმილე, შვილი სოფიო პატარა ნოდარით ლალანიძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამთ საყვარელ მამის **ილიკო ქაიხოსრ - ძე დავითიშვილის** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო 486

უახლოესი მეგობრები ტარასი, ეძილიანი ნიკოლაიშვილები, გერონტი, ბენია ძაგნიძეები შალვა მაჭარაძე ვგლოვობთ სიცოცხლით ალსავსე ახალგაზრდა. მოსკოვის ბოტკოვან მცენარეთა ინსტიტუტის ასპირანტ აგრონომის **აკაკი იპოლიტეს-ძე დვალიშვილის** გარდაცვალებას. დასაფლავება ვანში 500

სართავ მცენარეთა ინსტიტუტის ასპირანტები: კ. გივინაშვილი, ხ. შალამბერიძე, მ. ნაროუშვილი. ს. ნუცუბიძე და კ. ჭანიშვილი ულრმეს მწუხარებით იუწყებიან, რომ 23 ოქტომბერს ქ. სენაკში გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის ასპირანტი **აკაკი იპოლიტეს-ძე დვალიშვილი** 502

გაუბედურებული მეუღლე სერგო, შვილი ამირანი, სიდედრი ელიცაბედი, რძალი ოლიჩკა. მაზლი ილია პატარა სულიკოთი იუწყებიან. რომ 30 ოქტომბერს სამეგ. (გურია) სასაფლაოზე დანიშნულია უძვირფასეს **აკვილინა მაქსიმეს ას. ელენტისა** სამოქალაქო პანაშვიდი 495

ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ მაზლი ვასო, რძალი ლაისო შვილებით: შოთა, ოლიჩკა, ლუბა და ვარა კოკაიები მათთვის უსაყვარლესი დაუვიწყარი **კეკელა დავითის ასული კოკაიას** უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა ს. ზანათში 494

გულმოკლული მეუღლე სურბული შვილები: ალექსანდრა, მარო, კაკო, ხაჯია, აფრასიონ, დათიკო და იულია იუწყებიან, რომ 30 ოქტომბერს ს. ზნაკვაში (ამბროლაურის რ.) დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ **სოლომონ იოსების ძე ტურძელაძის** 1 თვის აღსანიშნავად 487

დამწუხრებული მამა საულო, დედა მაშიკო, დები და ძმები ლაითაძეები იუწყებიან სატყეო სატრანსპორტო ტექნიკუმის მეორე კურსის მოწაფე **ოლია საულოს ას. ლაითაძის** გარდაცვალებას დაკრძალვა ქ. ხონში. 489

„ინშრომის" სატრანსპორტო სექციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ძვირფას ამხანაგის **რუბენ არუთინოვის** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან – შემახინის ქ. № 5, 26 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე. 484

ა. იმნაძე, შ. ანდღულაძე. ნ. მაისურაძე, გ კაგაროვი, ვ. ანთიძე. ნ. კლდიაშვილი. ი ხვედელიანი, პ. ქემულარია, ი. ანთიძე იუწყებიან **რუბენ არტემის-ძე არუთინოვის** უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება 26 ოქტომბერს. 5 საათზე. შემახინის ქუჩა № 5 დასაფლავება ხოჯევანქის სასაფლაოზე 449

სტამბა „კომუნისტი" 1932 წ. კამოს ქუჩა № 6?
მთავლიტის რწმუნებული ა 1193